რეგიონებში საჭიროა მცირე და საშუალო ზომის **მიზიდულობის ცენტრების განვითარების სტრატეგიის შემუშავება**. ასეთ ცენტრებში საჭიროა სხვადასხვა სახის რეალური სექტორის და დამხმარე საწარმოების მოზიდვა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკას ინფრასტრუქტურული დანახარჯების შემცირების გამო, დაასაქმებს ყველა შესაბამის ქალაქში მცხოვრებ უმუშევარს და რეგიონის სოფლებიდან მიგრირებულ უმუშევრებს. ასეთი ტენდენცია განვითარებულ ქვეყნებში არსებობს უკვე 60-იანი წლებიდან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას ენიჭება უფრო დიდი მნიშვნელობა [7, გვ. 93 და სხვა; 9, გვ. 131-133]. “კონტრასტი სადედაქალაქო რეგიონს და პროვინციას შორის ხდება მეურნეობის ტერიტორიული დონის მოწიფულობის შეფასების ერთ-ერთ უმნიშველოვანეს ინდიკატორად. რაც უფრო გამოკვეთილია ეს კონტრასტი, მით უფრო დაბალია ქვეყნის განვითარების დონე” [7, გვ. 46, 47]. მიზიდულობის ცენტრების განვითარების საფუძველშიც ჩადებული უნდა იყოს ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობა, ამასთან ძირითად წარმოებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს სხვადასხვაგვარი დამხმარე წარმოება (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ექსპორტის და ა. შ. პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად). ასევე აშკარა თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს ყოველ რეგიონულ “მიზიდულობის ცენტრში” ინოვაციური სექტორის განვითარება.

მნიშვნელოვანია რეგიონებში საბაზრო ეკონომიკისათვის თვისობრივი დამხმარე სამსახურების და ფირმების (სოფლად ფერმების) შექმნის და ფუნქციონირების წახალისების სტრატეგიის შემუშავება. მიზიდულობის ცენტრების ფარგლებში, სახელმწიფო და კერძო საფინანსო სამსახურების (ფონდები, ბანკები ან მათი ფილიალები, რეგიონული დეპოზიტარიები, სადაზღვევო ორგანიზაციები) გარდა, ეს არის ინჟინერიული, მარკეტინგული, საინოვაციო, საკონსულტაციო, საინფორმაციო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც მოემსახურებიან როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მეწარმეებს. სოფლად ასევე უნდა დავასახელოთ სასელექციო და სანაშენო საწარმოები, რომლებიც, თანამედროვე ტერმინოლოგიის თანახმად, მიეკუთვნებიან საინოვაციო სექტორს,

მცირე მეწარმეების ტექნიკური უზრუნველყოფის საწარმოები: სამელიორაციო, მიწის რეკულტივაციის, ტყის მოვლის სამსახურები და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციების დაწესება იმისათვის, რომ მეწარმეებმა და დაქირავებული მომუშავეებმა (როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად) მიიღონ ცოდნა თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. ჩამოთვლილი ორგანიზაციების არსებობა უზრუნველყოფს ქალაქებში და სოფლად ინვესტიციური აქტიურობის ზრდას. კერძოდ, სოფლებში (სხვა დამცავ ღონისძიებებთან კომპლექსში) დაიწყება გამოუყენებელი მიწების ექსპლუატაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირემიწიან საქართველოში. ამასთან, არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე მიყიდვა, რადგანაც ეს უფრო გაართულებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას და გამოიწვევს მათი რიცხოვნების შემდგომ შემცირებას, ე. ი. უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებს. ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში (ავსტრალია, ისრაელი, ჩინეთი, შვეიცია და სხვა) საერთოდ არ არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება [5, გვ. 151].

მნიშვნელოვანია მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის თანაფარდობის სწორი სტრატეგიის შემუშავება. შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი განვითარება მსხვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების გარეშე. რეგიონული განვითარების სტრატეგიაში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს კონკრეტული რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია) რომელიმე კონკრეტულ დარგებში (თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნების გათვალისწინებით) ახალი მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბება (ადგილობრივი მეწარმეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების ბაზაზე, ან ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების ქვეყნის რეგიონების ქალაქებში განთავსებით, ან წინააღმდეგობის მსხვილი საწარმოების რეანიმაციის საფუძველზე ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ბაზაზე). როგორც ვიცით, მსხვილი საწარმოები კოოპერაციული ურთიერთობების საფუძველზე ასაქმებენ ბევრ საშუალო და მცირე ზომის საწარმოს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი მსხვილი საწარმოს ჩამოყალიბება მცირე ქვეყნის რეგიონებში შეუძლებელია, მაგრამ რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის და დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებლობა მოითხოვს მრავალ დარგში საშუალო და მცირე საწარმოს დაარსებას, როგორც წარმოების ძირითად, ასევე ინფრასტრუქტურულ და მომსახურების სექტორებში. სოფლად, ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისათვის საჭიროა საოჯახო მეურნეობების ბაზაზე კოოპერატივების დაარსება. მაგრამ, ქვეყნის რთული რელიეფის და სხვა მიზეზების (მაგალითად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება, სოფლების დაცარიელების თავიდან აცილება და სხვა) გამო, საჭიროა სოფლად თანამედროვე ინტენსიური¹ ხასიათის მცირე მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა და წახალისება.

შემოთავაზებული სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა ზომის საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გააძლიერებს მათ შორის ტრანსფორმაციული და ტრანსაქციური ურთიერთობების სიმჭიდროვეს, წარმოების ინტენსიფიკაციას (ამასთან, ქალაქებში ბუნებრივი გარემოს გაბინძურების გარეშე,

¹ ტერმინი “ინტენსიური” აქ არ გულისხმობს ნიადაგის ინტენსიურ გამოყენებას მისი გაფუჭების ხარჯზე, პირიქით, იგულისხმება თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მისი ხარისხის და ნაყოფიერების გაუმჯობესება. ამასთან, ასეთი ტექნოლოგიები ჩვეულებრივებზე ოდნავ უფრო მეტად შრომატევადია, მაგრამ მათ ბაზაზე შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა და სხვა ძვირად ღირებული პროდუქციის წარმოება სამომხმარებლო ბაზრებზე რეალიზაციისათვის ან შემდგომი გადამუშავებისათვის.

სოფლად კი, ამის გარდა, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფით), მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებას, მისი შემოსავლების ზრდას, კეთილდღეობის ამაღლებას და სხვა.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის სათანადო განხორციელების მიზნით საჭიროა ასეთი **განვითარების კოორდინაციის და რეგულირების მექანიზმის სრულყოფა**, რაც გულისხმობს რეგიონულ (სამხარეო) და ადგილობრივ დონეებზე შესაბამისი ინსტიტუტების-ორგანიზაციების (მმართველობითი, საფინანსო, საწარმოო) და რეგულირების (კოორდინაციის) ინსტრუმენტების სისტემის განვითარებას.

მნიშვნელოვანია **ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ინტერესების კომპრომისის მოგვარების ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბება**, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ამ მხრივ მიმდინარეობს ეკონომიკური მართვის ზოგიერთი ფუნქციის დეცენტრალიზაციის პროცესი, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში იზრდება ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილის ხვედრითი წილი, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (განსაკუთრებით, მძლავრი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყნებში), ბიუჯეტში გამოყოფილია სპეციალური მუხლები კერძო სექტორის პრიორიტეტული დარგების მხარდასაჭერად, რომელთა სახსრების გამოყენება ხდება ან უშუალოდ, ან ამისათვის შექმნილი სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით. სასურსათო ექსპორტის მხარდასაჭერად კი ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს სპეციალური ორგანიზაციები. დონეებს შორის კომპრომისის მიღწევა, ხარჯების ზოგიერთი მმართველობითი ფუნქციის დეცენტრალიზაციის გარდა, გულისხმობს ადეკვატურ ზომებში საბიუჯეტო სახსრების ჩამოყალიბების და გამოყენების დეცენტრალიზაციის პროცესს. კომპეტენციის გარკვეულ ზომებში დეცენტრალიზაცია ზრდის რეგიონული ორგანოების პასუხისმგებლობას შესაბამისი წარმონაქმნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ბიზნესის (მეწარმეობის) განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

რეგიონული ფისკალური მექანიზმის სრულყოფა მოითხოვს საგადასახადო და საბიუჯეტო მექანიზმების თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი მექანიზმის ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, ამ კუთხითაც ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა მოითხოვს სრულყოფას. მაგალითად, არ არსებობს სამხარეო (რეგიონულ) დონეზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ეს მაშინ, როდესაც გლობალიზაციის პირობებში რეგიონული მმართველობის ფუნქციები განვითარებულ ქვეყნებში იზრდება, განსაკუთრებით ბიზნესის მხარდაჭერასა და რეგიონული მასშტაბის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნაში. საჭიროა სამხარეო დონეზე შესაბამისი სისტემის შექმნა (აჭარის მაგალითი მეტყველებს, რომ ეს მეტად სასარგებლოა ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის, დასაქმების ზრდის და რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების თვალსაზრისით).

რეგიონული საფინანსო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე დაფუძნებული საწარმოების ჩამოყალიბებისა და არსებობის ეფექტიანი ფუნქციონირების სტიმულერებაზე. ამასთან, საწარმოს ჩამოყალიბების ან ეფექტიანი ფუნქციონირების პრიორიტეტულობის კრიტერიუმებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოდიოდეს მათი საექსპორტო და იმპორტ-ჩანაცვლებითი შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების (სათანადო ხელფასებით და გრძელვადიანი გარანტიით) შესაძლებლობები. რეგიონების საფინანსო პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს საინვესტიციო და სხვა სახის ფონდების შექმნა (არა მარტო საბიუჯეტო

სახსრების, უცხოური გრანტების, წარმატებული მეწარმეების შემოწირულობებითა და შეღავათიანი სესხების ხარჯზე).

რეგიონებსა და ადგილობრივ წარმონაქმნებში საჭიროა მეურნეობის (სახელმწიფო, კერძო საწარმოების და მათ შორის ურთიერთობების) ინსტიტუციური წყობის განვითარება. განვითარებული ქვეყნების მაგალითად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური მართვის მექანიზმების, ასევე კონტრაქტების ნაირსახეობები სახელმწიფო და კერძო საწარმოებს შორის სახელმწიფო, რეგიონული ან მუნიციპალური ორგანოების მიერ შეკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად. რეგიონულ ქალაქებში უნდა ხდებოდეს კერძო სექტორის საჭირო ქარხნების ჩამოყალიბება-განვითარება და მათ შორის საწარმოო ურთიერთობების სტიმულირება სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ინსტრუმენტების მეშვეობით. ამასთან, მსხვილი, საშუალო, მცირე და მიზანშეწონილი უცხოური საწარმოების ჩამოყალიბება-განვითარებისა და მათ შორის ურთიერთობების გაღრმავებისათვის არჩეულ უნდა იქნეს სტიმულირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმები.

ბევრს ლაპარაკობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირების აუცილებლობაზე, რაც სავსებით სამართლიანია. მაგრამ ამჟამად, საბჭოური სისტემის დაშლის შემდეგ, ვერა და ვერ ხერხდება მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება (უცხოური მაღალტექნოლოგიური საწარმოების მოწვევის ხარჯზეც კი). ამასთან, შეუძლებელია თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის აგება, მოსახლეობის მაღალი პროცენტის სრულფასოვანი დასაქმება, ექსპორტის რადიკალური ზრდა ქვეყანაში მსხვილი საწარმოების საკმაო რაოდენობის არსებობის გარეშე. მცირე მასშტაბების განვითარებულ ქვეყნებშიც კი (სინგაპური, ლუქსემბურგი, ბელგია, ნორვეგია, დანია, ფინეთი) არსებობს ბევრი მსხვილი საწარმო, რომელიც კოოპერაციული ურთიერთობების მეშვეობით ასაქმებს მრავალ მცირე და საშუალო დონის საწარმოს და, თანამედროვე პირობებში, ინდივიდუალურ მეწარმეებსაც. შოფლის მეურნეობაში საჭიროა კოოპერატივების გაჩენის სტიმულირება (უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი დახმარებისა და ტექნიკის შესაძენად შეღავათიანი კრედიტების გამოყოფის სახით). ასევე, ქვეყანაში რთული რელიეფის არსებობის, ზოგიერთი კულტურის მოვლის თავისებურებებისა და მსოფლიოში ამჟამად თანამედროვე ეკოლოგიურად სუფთა მცირე სასოფლო მეურნეობების მომსახურებისათვის ინტენსიური და ეფექტიანი ტექნოლოგიების გაჩენის², სოფლად სრულფასოვანი დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის უზრუნველყოფისათვის საჭიროა მცირე მეურნეობების განვითარების სტიმულირება (განვითარებული ქვეყნების მაგალითად სპეციალიზებული დამხმარე ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების დაარსებისა და მცირე მეწარმეებისათვის საქმის განვითარებისათვის სუბსიდიების გამოყოფით).

რეგიონულ დონეზე (სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმების ერთობლივი ძალისხმევის ბაზაზე) დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ინსტიტუციურ ურთიერთობებს** (ინსტრუმენტებს), რომლებიც ხორციელდება **დიალოგის და ხელშეკრულების დადების საფუძველზე**, ჯერერთი, რეგიონულ ორგანოებსა და მეწარმეებს, მეორე, რეგიონულ ხელისუფლებას, პროფკავშირებს და მეწარმეებს შორის. **საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი გულისხმობს ასევე მეწარმეების ჯგუფების მიერ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში**

² ტექნოლოგიებში იგულისხმება არა მარტო შესაბამისი იაფი ტექნიკა, მოწყობილობები, არამედ წარმოების პროცესის განხორციელების თავისებურებები, რომელშიც საერთო წესების განხორციელების გარდა, უნდა გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ზონის ყველა ბუნებრივი თავისებურება.

გარკვეულ ბაზრებზე, გარკვეული პერიოდის მანძილზე (ერთი კვირის, ორი კვირის და ა.შ. განმავლობაში), გარკვეულ საქონელზე განსაზღვრული **საშუალო ან ფიქსირებული ფასების დადგენას** [8, გვ. 109]. ასეთმა პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოებულ პროდუქციის სრული მოცულობით რეალიზაციას, კერძოდ, მოსახლეობის ღარიბი ფენების მიერ ხელმისაწვდომ ფასებში მისი შესყიდვის ხარჯზე (განსაკუთრებით ეს ეხება სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას).

მიზიდულების ცენტრების განვითარების სტიმულირება უნდა ხდებოდეს შემდეგი გზებით: ძირითადად ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯზე კომუნალური ინფრასტრუქტურის იმ ობიექტების მშენებლობის დაფინანსება, რასაც კერძო მეწარმეები არ იღებენ თავის თავზე ან რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა; მიზიდულობის ცენტრებში მიზანშეწონილი საწარმოო ობიექტების და, განსაკუთრებით, რეალური სექტორის (მათ შორის სოფლად) ჩამოყალიბების და ფუნქციონირების ხელშეწყობი სახელმწიფო ორგანიზაციების, ფონდების (შერეული და სახელმწიფო), კერძო და შერეული ფორმების და ფერმების ჩამოყალიბების და ფუნქციონირების საფისკალო, საფინანსო და სხვა სახის სტიმულირება.

როგორც ითქვა, **ძირითადი (რეალური) სექტორის განვითარება**, როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში, **შეუძლებელია შესაბამისი დამხმარე ინსტიტუტების მოქმედების გარეშე**. ასეთი დაწესებულებების და საწარმოების ფუნქციონირების სტიმულირება უნდა ხდებოდეს შესაბამისი პროპაგანდით, რეკლამირებით, საჭირო შემთხვევებში ფისკალური და საფინანსო შეღავათების გამოყენებით, დახმარებით საინვესტიციო და სხვა სახის რეგიონული ფონდებიდან. საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირებას რეგიონების ჭრილში. საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების რეგულირებას რეგიონების ჭრილში.

რეგიონული განვითარების სტიმულირების მექანიზმში უნდა ჩაიღოს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ელემენტების დამყარების სტიმულირება. ამჟამად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დომინირებენ მეხუთე ტექნოლოგიური წყობის ელემენტები, ამასთან ფართოდება მეექვსე ტექნოლოგიური წყობის ელემენტების გამოყენება, მაგრამ ჯერ არაა ზუსტად გამოკვეთილი რომელი სიახლეების განვითარებას მიეცემა უფრო მნიშვნელოვანი ბიძგი. ჩვენი აზრით, რეგიონულ დონეზე თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ახალი დარგის წარმოების ჩამოყალიბება შეიძლება რეგიონის მიზიდულობის ცენტრებში. უფრო მიზანშეწონილია განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული ახალი დარგების ტექნოლოგიების მოზიდვა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტექნოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პროდუქციის გასაღებაში პრობლემები არ შეიქმნება, განსაკუთრებით საგარეო ბაზრებზე. ასეთი ტექნოლოგიების რეგიონულ მიზიდულობის ცენტრებში დანერგვისათვის რამდენიმე გზა არსებობს (იხ.: [4, გვ. 97, 98]), მაგალითად, ადგილობრივი მეწარმეების მიერ ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვა, ტრანსეროვნული კორპორაციის საწარმოს მოზიდვის წახალისება, ფრინ-ჩაიზინგის მექანიზმების გამოყენება და სხვა.

წარმოების დივერსიფიკაციის წახალისება ქალაქში უფრო მიზანშეწონილია იმ საქონლის მიხედვით, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ამასთან, არ უნდა იქნეს დავიწყებული ტრადიციული დარგები, მათ შორის, შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად (რომლებშიც წარმოება ეკონომიკის პოსტსაბჭოური ჩავარდნის შედეგად თითქმის ნულამდე დაეცა), ისეთები, როგორიცაა ავეჯის, ქსოვილების, ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება. სოფლად წარმოების დივერსიფიკაციისას ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომ-

ლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდას და, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი.

მეურნეობის რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა მასშტაბის და ხასიათის **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების** შექმნის და ფუნქციონირების კოორდინაცია და სტიმულირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სიკეთის მომტანი **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის** არსებობაც ამცირებს კონკრეტულ ქვეყანაში და საერთოდ მსოფლიოში გამომუშავებულ შემოსავალს. მაგალითად, სამრეწველო-საექსპორტო ზონები, ამჟამად გავრცელებული მრავალ ქვეყანაში, უფრო მეტად ამღიდრებენ საერთაშორისო ბიზნესის წარმომადგენლების უმნიშვნელოვან და ასაქმებენ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას. მაგრამ, მრავალ ასეთ ზონაში არსებული ფისკალური და სხვა სახის შეღავათების გადაჭარბებული გამოყენების გამო, ქვეყნების უმეტესობაში, სადაც ასეთი ზონები არსებობს, უსაფუძვლოდ იკარგება საბიუჯეტო შემოსავლები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერების და ინოვაციების განვითარების, ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალური დონის ამაღლებისა და სოციალურ მიზნებზე. მიუხედავად ამისა, სამრეწველო და, განსაკუთრებით, საექსპორტო-სამრეწველო ზონების არსებობა აუცილებელია სხვა თვალსაზრისით: ჯერ ერთი, მათში არსებობს საწარმოო ინფრასტრუქტურა, რომელსაც იყენებს სხვადასხვა ზონაში განლაგებული სამრეწველო საწარმო, რის ხარჯზე ხდება ეკონომია ინფრასტრუქტურულ მომსახურებაზე, მეორე, კონცენტრირებულ საწარმოო ზონებში ხდება სატრანსპორტო ხარჯების ეკონომია, მესამე, ასეთი ზონები იზიდავენ სავაჭრო სექტორის მეწარმეებს, რის გამოც უფრო ადვილი ხდება წარმოებული პროდუქციისათვის გასაღების ბაზრების მოპოვება და გაზრდა, ასევე საჭირო საწარმოო ტექნოლოგიების შექმნა. რადგანაც სამრეწველო-საექსპორტო ზონები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, საქართველომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა მსოფლიოს დონეზე ამ სახის კონკურენტულ შეჯიბრებაში, ე. ი. გახსნას რამდენიმე ასეთი ზონა, რათა გააუმჯობესოს ექსპორტ-იმპორტის საღდოს მაჩვენებელი. მაგრამ, ფისკალური შეღავათები ასეთ ზონებში უნდა იყოს მინიმალური და საწარმოების ფუნქციონირების მხოლოდ პირველ წლებში, რათა არ მოხდეს ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე უმუშევრობის ზრდა, არ გაჩნდეს ფისკალური შემოსავლების ქვეყანაში და მის რეგიონებში თანდათანობითი შემცირების პროცესი. რეგიონებში წარმოების განვითარების უფრო თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს რეგიონული მიზიდულობის ცენტრების შესაბამისი განვითარება.

პერსპექტიულია **საინოვაციო** (ან სამრეწველო-საინოვაციო) **ზონების** შექმნა, რომლებშიც ხდება **სამეცნიერო ცოდნის (მიღწევების) გარდაქვევა ბიზნესში**. ეს საქმიანობა მეტად სარიისკოა, რადგანაც პროექტების მხოლოდ გარკვეული ნაწილი იძლევა წარმატებას. ზოგიერთი სამეცნიერო იდეის პრაქტიკაში დანერგვას კი არა მარტო ვენჩურულ წარმოებაში მონაწილე ბიზნესმენის, არამედ მთელი ქვეყნის მოაქვს უზარმაზარი მოგება. ამასთან ეფექტი არა მარტო საფინანსოა, არამედ სხვა სახისაცაა (მაგალითად, ენერჯის და მასალების ეკონომია, მოსახლეობის ინტელექტუალური ხარისხის ამაღლება, მძიმე ავადმყოფობის მეურნალობა, სიცოცხლის ხარისხის და ხანგრძლივობის ზრდა). ამიტომ მათი შექმნა ხდება მრავალ ქვეყანაში. უკანასკნელ პერიოდში ასეთი ზონების რაოდენობა, კერძოდ ევროპის ქვეყნების სხვადასხვა რეგიონში, შედარებით მცირე ქვეყნების ჩათვლით, ძალიან იმატა [9]. მაგალითად, ფინეთში (მოსახლეობის რიცხოვნობა – 5,3 მლნ კაცი), ტექნოპარკების და ტექნოლოგიური ცენტრების ბაზაზე “ნოუ-ჰაუს” შემუშავებას ახორციელებს 21 ინოვაციური ცენტრი. ეს ცენტრები წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების,

სასწავლო დაწესებულებების და ბიზნესის ძალისხმევის გაერთიანების ფორმას და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც მოწოდებულია კომპანიების კონკურენტუნარიანობის და რეგიონების ინოვაციური კლიმატის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. შესამჩნევ საფინანსო მხარდაჭერას მათ უწევენ საქალაქო ხელისუფლებები [9, გვ. 132]. მიზანშეწონილია საქართველოშიც რამდენიმე ასეთი ზონის დაარსება.

ახალი რეგიონული საწარმოო სტრუქტურის ფორმირებისას უნდა შეიქმნას **მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციის მექანიზმი**, რომელთა ნაირსახეობები აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. ფართო მასშტაბებში ეს არის, მაგალითად, ევროკავშირი, უფრო მცირე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირების სიმჭიდროვის შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება გამოვეყნოთ ბენილუქსის ქვეყნები და ახლომდებარე, მსხვილი ქვეყნების რეგიონების ერთიანობა. ეკონომიკური კოოპერაციის გადრმავება ახლომდებარე ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ამჟამინდელი სატრანსპორტო დანახარჯების ზრდის პროცესის პირობებში, წარმოადგენს ამ პროცესში ჩართული ქვეყნების შესაბამისი რეგიონების მეურნეობის ეფექტიანობის ზრდისა ამ რეგიონებში დასაქმების ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. რეგიონული განვითარების ამ მიმართულების რეალიზაციის განხორციელების გზას წარმოადგენს ახლომდებარე ქვეყნებთან ან მათი რეგიონების ხელისუფლებასთან, ასევე სამეწარმეო წრეებთან, შეთანხმებების მიღწევა აღნიშნული ინფრასტრუქტურის კოორდინირებული განვითარებისა და საწარმოო ტექნოლოგიური კოოპერაციის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე – თბილისი: “მერიდიანი”, 2006.
2. ბურდული ვ. საქართველოში რეგიონული სოციალური და ეკონომიკური განვითარების “მიზიდულობის ცენტრების” განვითარების გზები – საქართველოს ეკონომიკა, 2006, №11.
3. მესხია ი., გველესიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. – თბილისი: 2010.
4. Абесадзе Р., Бурдули В. Региональные аспекты ускорения темпов экономического развития Грузии. – Общество и экономика, 2011. №7.
5. Коробейников Р. Крестьянство и власть: ответственность и интересы. – Вопросы экономики, 2010, №2.
6. Котилко В., Левитская Е. Методы регулирования территориального развития. – Экономист, 1992, №1.
7. Лопатников Д. Л. Экономическая география и регионалистика. – М.: Гардарики, 2006.
8. Маневич В. О закономерностях становления рынка. – Вопросы экономики. 1993, №3.
9. Региональная политика стран ЕС. – М.: ИМЭМО РАН, 2009.

Vakhtang Burduli,
Doctor of economic scientific, Professor

THE WAYS OF IMPROVEMENT OF STATE REGULATION OF REGIONAL DEVELOPMENT IN GEORGIA

Summary

In the work the contemporary situation of regulation of regional economic and social development in Georgia is defined. The ways of improvement of strategy of regional development are offered in the context of the following aspects: the improvement of institutional mechanism of regional regulation; the diversification of regional production; the development of centers of gravity in regions; the strategy of development of infrastructure in regions; the strategy of development of large-scale, middle-scale and small-scale enterprises in regions etc. Much prominence is given by the article to improvement of system coordination and stimulation of economic development in regions, in particular, in the work are considered: the ways of decentralization system of government by territorial subject of government; the ways of improvement of institutional organization of production in regions; the ways of improvement regional fiscal and financial mechanisms; the ways of stimulation of development regional centers of gravity; the ways of stimulation of diversification of regional production; the ways of coordination of development of special economical zones; the ways of coordination of activization of economical intercommunications with regions of neighbouring countries and etc.

ეკონომიკური კრიზისი

რევაზ ჯავახიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბავშვანა საქართველოს ეკონომიკაზე
და მისი შედეგების დაკლავის ძირითადი მიმართულებები**

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე ძირითადად ორი მიმართულებით აისახა: 1. მნიშვნელოვნად შემცირდა ერთობლივი მოხმარება, მკვეთრად გაიზარდა ფასები და შემცირდა გაყიდვების მოცულობა; 2. საგრძნობლად გაუარესდა ქვეყნის იმიჯი, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე გააუარესა საქართველოში რუსეთის სამხედრო აგრესიამ, რომლის დამანგრეველი შედეგების დასაძლევად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ იქნა 4.5 მლრდ დოლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის გამწვავება მარტო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით არ იყო განპირობებული. მანამდეც ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ბევრი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მოცულობით იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და ამ მხრივ დაახლოებით 8-ჯერ ჩამორჩებოდა შედეგს, 2,5-ჯერ აზერბაიჯანსა და 1,5-ჯერ უკრაინას. [4,59] ახალ ეკონომიკურ კრიზისს საქართველოში წინ უძღოდა არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რაც განპირობებული იყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჯერ ეკონომიკის არნახული ვარდნითა და შემდგომში მისი ზრდის შეფერხებებით.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საბანკო და სამშენებლო სექტორებზე, ტურიზმის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. საბანკო სისტემა ყველაზე უფრო მგრძობიარე და დიდი რისკების სფეროა, რის გამოც ყველაზე უფრო მეტად ზარალდება კრიზისის დროს. ქვეყნის საბანკო სექტორში კრიზისის დროს მნიშვნელოვნად შეიზღუდა სესხების გაცემა, საგრძნობლად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, სერიოზულად გამწვავდა გაცემული სესხების დაბრუნების პრობლემა, რასაც შედეგად მოჰყვა ბანკებისა და ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობის ზრდა და საბანკო დეპოზიტების მკვეთრი შემცირება, დასაქმებულ მუშაკთა დიდი რაოდენობით განთავისუფლება და უმუშევრობის ზრდა. მიუხედავად სერიოზული დარტყმისა, ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის ძალისხმევით თავიდან იქნა აცილებული სისტემური პრობლემები, საბანკო სექტორმა ყველაზე მეტად გაუძლო კრიზისულ წნეხსა და მინიმალური შეფერხებით აგრძელებს საქმიანობას. ამასთან, 2010 წლიდან შეინიშნება ბანკების დეპოზიტებისა და აქტივების, გაცემული სესხებისა და მოგების ზრდა, რაც ამ სექტორის კრიზისიდან გამოსვლის მნიშვნელოვან სიმპტომებად უნდა ჩაითვალოს.

კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა მშენებლობას, შეჩერდა აქ მიღწეული აღმასვლის პროცესი, რაც განსაკუთრებით ბინათმშენებლობაზე აისახა. ფაქტობრივად შეჩერდა მშენებარე ობიექტების დიდი ნაწილი და უმუშევრად დარჩა აქ დასაქმებული ათეულ ათასობით ადამიანი. ბევრმა სამშენებლო კომპანიამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ადამიანები, რომელთაც გადახდილი ჰქონდათ ბინის მშენებლობისთვის საჭირო თანხები, აღმოჩნდნენ უიმედობასა

და გაურკვეველ სიტუაციაში. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში გატარებული ღონისძიებების შედეგად მშენებლობის სფეროში შეიმჩნევა გარკვეული გამოცოცხლება, მოხერხდა როგორც დედაქალაქში, ისე ბევრ რეგიონში საავტომობილო გზების მშენებლობის პროგრამების განხორციელება, რაც ქვეყნის სამშენებლო სექტორის კრიზისიდან გამოყვანის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომიკურმა კრიზისმა დიდად დააზარალა ტურისტული სექტორიც. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის გადახდისუნარიანობა და, შესაბამისად, ტურისტების რაოდენობაც. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში უცხოელი ტურისტების შემოსვლა 1,300 ათასიდან 680 ათასამდე, ანუ 48%-ით შემცირდა. ტურიზმზე კრიზისის გავლენა უცხოური ინვესტიციების შემცირებითაც გამოიხატა. 2007 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა, ომისა და კრიზისის გავლენით 2008 წელს კი იგი 1,564 მლრდ-მდე, ანუ თითქმის ნახევარი მილიარდით შემცირდა. ეს ტენდენცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. ტურიზმის განვითარებაში შეფერხებამ ნეგატიური გავლენა იქონია მასთან დაკავშირებული დარგების-ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კვების მრეწველობის, მშენებლობის, აგრარული სექტორის, საბანკო და სადაზღვეო საქმიანობის განვითარებაზეც.

ეკონომიკური განვითარების შეფერხებამ ავტომატურად განსაზღვრა ქვეყნის სოციალური ფონის გაუარესება. კრიზისმა ხელი შეუწყო ფასებისა და ინფლაციის ზრდას, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლების გაუარესებას, რამაც განაპირობა მოსახლეობის შემოსავლებისა და მოხმარების მკვეთრი შემცირება. მნიშვნელოვნად გადიდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რამაც 2009 წელს მშპ-ს 9,2% შეადგინა, ხოლო ამავე წელს, წინა წლებთან შედარებით, სახელმწიფო საგარეო ვალი 1,214 მლრდ ლარით გაიზარდა და მან 6 მლრდ ლარს მიადწია და ქვეყნის მშპ-ს 32%-ს გაუტოლდა [4,61].

2009 წლიდან ქვეყანაში შეიმჩნევა ეკონომიკური ვარდნის შენელება, რაშიც დიდი როლი შეასრულა კრიზისის ნეგატიური გავლენის შემცირებისა და ეკონომიის ფისკალური სტიმულირების მიზნით განხორციელებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ. ქვეყანაში ეკონომიური კრიზისის დაძლევისათვის საჭიროა კრიზისის შემდგომ მსვლელობაზე გუდლასმითი დაკვირვება, მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული გაანალიზება და სათანადო ანტიკრიზისული პროგრამის ამოქმედება, რაშიც აუცილებელია ამ საქმის მცოდნე და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალების ჩართვა. ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის შედეგების ბოლომდე დაძლევისა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის პრიორიტეტული მიმართულებების სწორად განსაზღვრას. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებად გვესახება:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელის შეწყობა. მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყენებული მისი თავისებურებები და უპირატესობები: საჭირო კაპიტალდაბანდებების სიმცირე; ამოქმედებისა და კვლავწარმოების ციკლის მოკლე ვადები; მაღალი მოქნილობა და მანევრირება; შრომითი და ფინანსური რესურსების სწრაფი მობილიზაცია და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა; პროფესიათა შეთავსება; შინ მუშაობა; პენსიონერთა დასაქმება და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეალური პროდუქტის შემქმნელი და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, გამოშვებული პროდუქტის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მსხვილი მონოპოლიების კონკურენციისაგან დაცვა, საკრედიტო-საგადასახადო შეღავათებით უზრუნველყოფა და სხვ.

2. აგროსამრეწველო სექტორის დაჩქარებული განვითარება. იგი უნდა განხორციელდეს ამ სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, სადაც პრიორიტეტული მნიშვნელობა მიეცემა იმ დარგების უპირატეს ზრდას, რომელთა განვითარებისათვის ქვეყანას გააჩნია სათანადო ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკური (მათ შორის საექსპორტო) პოტენციულისა და ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ასეთი დარგებია: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა; მეხილეობა-მებოსტნეობა და საკონსერვო მრეწველობა; მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა; მეციტრუსეობა და ციტრუსების გადამამუშავებელი მრეწველობა. ამასთან, აუცილებელია მეურნეობათა გამსხვილება, ევროპული ტიპის ფერმერული კოოპერატივების შექმნა, აგრო-სამრეწველო კომპლექსების აღდგენა და მათი ფუნქციონირების სახელმწიფო ხელის შეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ სფეროებში ინვესტიციების გაფართოებას, მათი სახელმწიფო დაფინანსებისა და საკრედიტო-საგადასახადო შედეგების განხორციელებას.

3. საკურორტო-ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ქვეყანა მდიდარია მთისა და ზღვის საკურორტო-რეკრეაციული რესურსებით, სამკურნალო მინერალური და თერმული წყლებით, რაც სათანადოდ არაა ათვისებული და გამოყენებული. საქართველოს საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარებისათვის. თუმცა, მის გამოყენებას აფერხებს შემდეგი ნეგატიური ფაქტორები: უსაფრთხოების დაბალი და გეოპოლიტიკური რისკების მაღალი დონე, დაკარგული ტერიტორიები, ტურისტული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, ინვესტიციური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე, ტურისტული სერვისის მაღალი ფასები და სხვ., რომელთა დროული აღმოფხვრა პირველი რიგის ამოცანაა ტურისტული ინდუსტრიის განვითარების გზაზე. გარდა ამისა, სადღეისოდ ჯერ კიდევ დაბალია ქვეყნის ტურისტული კონკურენტუნარიანობა მაშინ, როდესაც მას მეტოქეობა უხდება მაღალგანვითარებული ტურიზმის მქონე ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა: თურქეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, ბულგარეთი და სხვ. საქართველომ უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველყოს ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მიღწევა, ტურპროდუქტების გაფართოება და მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, ტურიზმის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება და მომსახურების ავტომატიზაცია, ელექტრო-სადისტრიბუციო ქსელების მეშვეობით ავია-კომპანიების, ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, ავტოგამქირავებელი ფირმების ოპერატიული ურთიერთკავშირი.

4. საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება. ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით რუსული ემბარგოს შემდეგ) განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, წარმატებით განხორციელდა ქართული ექსპორტის დივერსიფიკაცია მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე. ამასთან, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა: ქვეყნის ექსპორტში ჭარბობს ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, რომელთა ფასი მსოფლიო ბაზრებზე, მზა ნაწარმთან შედარებით, საგრძობლად დაბალია. ქართულ ბაზარზე კი შემოდის ბევრი ისეთი სასურსათო პროდუქტი, რომელთა დიდი ნაწილის ჩანაცვლება თავისუფლად შეიძლება ადგილობრივი პროდუქტით, თუ სრულად იქნება გამოყენებული ქვეყანაში მათი წარმოების უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიური ფაქტორები. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლება და მისი სრული გამოყენება ხელს შეუწყობს უარყოფითი სავაჭრო საღდოს აღმოფხვრას, ქვეყნის

სავალუტო რესურსების ზრდას, ფინანსურ გაჯანსაღებასა და კრიზისის შედეგების უმოკლეს ვადაში დაძლევას.

5. ადამიანისეული ფაქტორის აქტივიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშანთვისებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტელექტუალიზაცია. ამჟამად ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია არა ბუნებრივი და სხვა რესურსები, არამედ ადამიანი თვისებრივად გარდაქმნილი ფორმით, აღჭურვილი სრულიად ახალი ცოდნით, უნართა და ჩვევებით. სწორედ ეს თვისებები უნდა დაედოს საფუძვლად სრულიად ახალი ტიპის სამუშაო ძალის ფორმირებას, რომელსაც თავისუფლად შეეძლება უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანობის ყველა სფეროში. ამასთან ერთად, ადამიანისეული ფაქტორის აქტივიზაცია გულისხმობს მეცნიერების საერთოდ და, კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური თეორიის როლისა და მნიშვნელობის ზრდას ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებასა და თავიდან აცილებაში, ხოლო ასეთი კრიზისების გარდაუვალობის შემთხვევაში კი, მათი რეგულირების, კრიზისებიდან დროული გამოსვლისა და ნეგატიური შედეგების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავებაში.

გარდა ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებებისა, კრიზისის შედეგების დაძლევაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საბანკო, საფინანსო, და სადაზღვეო სისტემის სრულყოფას; ფასებისა და ინფლაციის დონის სტაბილურობას; საინვესტიციო გარემოს სრულყოფას და უცხოური ინვესტიციების ზრდას, მათ რაციონალურ განთავსებასა და ეფექტიან გამოყენებას; ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფას; ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას და კრიზისის ნეგატიური შედეგების დაძლევაში მისი როლის გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. არჩვაძე – გლობალური ეკონომიკური კრიზისი – ნიშნები და ტენდენციები, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, №1, 2009.
2. დ. იაკობიძე – საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2009.
3. ი. მესხია – გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, №2, 2009.
4. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, №1, 2011.
5. О.Богомолов – Взаимовлияние глобального кризиса и общественно-политической мысли, журн. “Мэ и МО”, №1, 2011.
6. С. Глазьев – Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов, журн. “Вопросы экономики”, №3, 2009.

Javakhishvili Revaz
Academic doctor of Economics

**WORLD ECONOMIC CRISIS IMPACT ON GEORGIAN ECONOMY AND THE
PRIMARY DIRECTIONS TO OVERCOME ITS CONSEQUENCES**

Summary

World Economic Crisis has 2 main impacts on Georgian Economy: 1. Increased prices, decreased quantities of selling and decreased aggregate demand; 2. Worsened country's image and decreased investment in Georgia. Main impact was made to banking and construction sectors, agriculture and tourism sectors that worsened country's social background. High-priority directions to overcome crisis and develop country's economy are: to support small and medium business development; agro-industrial sector development; tourism promotion and maximum use of its potential; expand foreign trade-economic unions and to grow export potential; human factor activation in all parts of the society, that means economic science and economic theory role's growth in crisis forecasting and crisis avoidance, regulation and in overcoming negative impacts.

ზოგადი

Berulava George

D.Sc. (Econ), Professor

P. Gugushvili Institute of Economics,

I. Javakhishvili Tbilisi State University

Dikhaminjia Irma

Academic Doctor of Economics, Associate Professor

Sokhumi State University

CONCEPTUAL PERSPECTIVES ON THE LINK BETWEEN ORGANIZATIONAL CULTURE AND FIRM'S PERFORMANCE

The main objective of the paper is to provide conceptual perspective on the nature of organizational culture – firm's performance link in the context of transition economies. One of the goals of this study is to elaborate research propositions on the mediating effects of organizational efficiency and innovation on the link between organizational culture and business performance.

1. Introduction

At present stage of economic reforms in Georgia, when the process of privatization and restructuring is almost over, one of the key issues is still the problem of inducing of a rapid adjustment of producing sector to new market signals. Undoubtedly, the development of organizational culture and climate adequate for market environment is necessary precondition for solving of this problem. In so far it is very important to study the patterns of organizational culture and to learn the relationship between organizational culture and business performance in transition economies conditions.

The link between organizational culture and business's performance has been explicated within the context of resource-based theory. According to this perspective, firm can sustain competitive advantage, only if resources or activities that provide this advantage are: valuable, rare, imperfectly imitable, and non-substitutable (Lippman and Rumelt 1982; Wernerfelt, 1984; Conner 1991; Barney 1991, Barney 2001). Barney (1986) demonstrated that firms that have organizational cultures, which satisfy above mentioned requirements, could obtain sustained superior financial performance from their cultures. A number of empirical studies, employing different typologies of organizational culture, provide substantive support for this suggestion (Wilkins & Ouchi, 1983; Deshpande, Farley, and Webster, 1993; Denison & Mishra, 1995; Kirca et al., 2005; Winston and Dadzie, 2007; Galagher et al., 2008; Farley et al., 2008; Beugelsdijk et al., 2009).

However, existing research in this area is not without some limitations. **First**, most of the studies in this specific area of knowledge were focused on understanding of a direct causal link between organizational culture and performance, while neglecting those factors that could potentially mediate this relationship. **Second**, the existing studies on organizational culture/business performance relationship are almost entirely narrowed to the context of developed markets, leaving out the conditions and peculiarities of transition economies.

Rest upon findings of preceding studies current paper seeks to extend the comprehension and understanding of the nature of organizational culture/firm's performance link by elaborating

research propositions on the impact of mediating factors on this relationship in the transition economies context.

The rest of the paper is organized as follows. In the next section we define the concept of organizational culture for the context of transition economies and discuss organizational culture/performance link. On the base of this discussion general research propositions are formulated. In the section 3 we discuss factors that could potentially mediate organizational culture/firm's performance link and define corresponding research propositions. The policy implications and conclusions are summarized in the final section

2. The Organizational Culture Concept

Starting with the Smirchich's (1983) seminal paper on organizational culture, an increasing number of studies have been focused on the role and the impact of the organizational culture on businesses' behavior. Organizational culture in these studies was defined as "...the pattern of shared values and beliefs that help individuals understand organizational functioning and thus provide them norms for behavior in the organization" (Deshpande and Webster, 1989, p.4)) and was considered as an important predictor of firm's performance (Denison & Mishra, 1995; Kirca et al., 2005).

To the moment various approaches to define organizational culture typology are known in the academic literature. For instance, Quinn (1988) proposed a typology model comprised from four different types of organizational culture: *clan*, *hierarchy*, *market*, and *adhocracy culture*. In this model the types of organizational culture are differentiated on the base of two dimensions that reflect the system-structural perspective (Van de Ven, 1976) and transaction cost perspective (Williamson 1975, 1981). The first dimension describes the continuum from organic to mechanistic processes, while the other one describes the relative organizational emphasis on internal maintenance or on external positioning (Deshpande, Farley, and Webster 1993). Drawing upon this typology Deshpande, Farley, and Webster (1993) in their empirical study of Japanese firms found a significant effect of the organizational culture on firm's performance. Application of this model to other countries revealed that values of organizational culture differ significantly across countries, while the direction of relationship of culture variables to firm performance over countries doesn't differ systematically (Deshpande & Farley, 2004). Further, Denison & Mishra (1995) defined four aspects of organizational culture, namely: *involvement*, *consistency*, *adaptability*, and *mission*, and found a significant link between organizational culture and effectiveness. This study revealed some contradictions involved in simultaneously attaining internal integration and external adaptation goals. For instance, it was found that profitability was highly correlated with cultural variables that reflect mission and consistency, while innovation was associated mainly with involvement and adaptability.

One of the few studies devoted to investigation of organizational culture-performance link in transition economies context is Fey & Denison's (2003) study of foreign firms in Russia. In this study existing model of organizational culture and effectiveness (Denison & Mishra, 1995) was applied to Russian business environment. Though the results of the study were somewhat different from the results for a sample of US firms, the model in general was useful for understanding the differences in the effectiveness that occurred in the sample of foreign firms operating in Russia. Adaptability was found to be the most influential dimension of organizational culture with respect to overall firm performance and profitability.

Despite the fact that Fey & Denison's (2003) study showed that organizational culture typology of companies operating at developed markets can be extended to foreign companies operating in transition economies, it is not obvious that the same will be true for indigenous

firms. Some interesting insights on organizational culture dimensions of indigenous firms in transition economies were provided in the study of Georgian state enterprises' transformation (Gaciaz et al. 1996). In this research, two main types of organizational culture were distinguished: cultures comprised from losing and passive syndromes or attitudes and cultures that rely on winning and active attitudes or syndromes. Using these typologies Berulava (1999) in his case study of Georgian enterprises found that organizational values and attitudes influence firms' performance.

Employing combination of two aforementioned typologies, in the sake of current research, we formulate the hybrid typology of organizational culture for indigenous firms in transition economies. This hybrid typology is comprised from the following types of organizational cultures:

- passive organizational culture – dominated by values and norms that stimulate the policy of wait-and-see, asset stripping, excess capital and labor retention, rent-seeking, pursuit for governmental protection;
- organizational culture focused on internal consistency – consists of strong values and norms that stimulate consistency, coordination and integration of behavior within organization, team work, and development of human capabilities at all levels;
- organizational culture focused on external adaptability – comprised from values that put the customer's interest first and stimulate continuously changes in the firm to enhance the organizations' collective abilities to provide value for their customers.

Organizational culture is considered as an important predictor of firm's performance in a number of recent studies (Denison & Mishra, 1995; Kirca et al., 2005; Winston and Dadzie, 2007; Gallagher et al., 2008; Farley et al., 2008; Berson et al., 2008; Beugelsdijk et al., 2009). Rest upon these findings it is reasonable to conclude that organizational culture is a salient variable for understanding firm's performance. However, the results of these studies suggest that the impact of different types of organizational culture on firm's performance will differ substantially. For instance it was found that firms where the values of passive organizational culture dominate perform worse than firms governed by active attitudes (both internally and externally focused) (Gaciaz et al. 1996; Berulava, 1999; Berulava, 2003). Drawing upon results of existing empirical studies of firms in transition economies the general research propositions can be formulated as follows:

P_{1a}: Passive organizational culture will have negative influence on firm's performance.

P_{1b}: Organizational culture focused on internal consistency will have positive influence on firm's performance.

P_{1c}: Organizational culture focused on external adaptability will have positive influence on firm's performance.

3. Defining Mediators for the Organizational Culture/Firm's Performance Link

Among the factors that could potentially mediate this link are factors that constitute firm's organizational climate - structures, strategies, processes and incentives - necessary for operationalizing the cultural values (Schneider & Rentsch, 1987). Literature review suggests that organizational culture can achieve maximum effectiveness only if it is complemented by an appropriate organizational climate (Deshpande and Webster, 1989; Slater & Narver, 1995; Berulava, 1999; Neal et al., 2005). Two aspects of organizational climate, that are the most

salient for exploring of this issue in the context of transition economies, are: *organizational efficiency and innovation*.

Organizational efficiency. This concept reflects the degree to which firm’s performance is close to some ideal or potential level. It is similar to *Farrell’s* ratio of overall efficiency of the firm defined as firms “...success in producing as large as possible an output from a given set of inputs” (Farrel, 1957, p.254). Organizational or firm’s efficiency per se presents extension of Pareto efficiency concept to a context of multiple inputs and outputs and is regarded as X-efficiency measure (Leibenstein & Matial, 1992). Efficient organization achieves lower costs producing the same amounts of products or more products with using same amounts of inputs. In both cases firm attains better performance’s results. Organizational efficiency in this study is considered as the result of a specific organizational climate driven by cultural value and norms oriented on *internal consistency*. Hence, we propose:

P_{2a}: Organizational culture focused on internal consistency will have positive influence on organizational efficiency.

P_{2b}: Organizational efficiency will have positive influence on firm’s performance.

Innovation. Real world market environment in which contemporary firms have to compete is very far from conditions of equilibrium pure competitive market, well described in neoclassical economic textbooks. On the contrary, real market is characterized by permanent change or disequilibria, uncertainty and complexity. Disequilibrium market due to the absence of perfect knowledge among rivals, gives opportunity to seize above normal profits to those who are more alert. Possession of precise market information, or knowledge, allows firm to see first mismatch between market offerings and unsatisfied demand (Dickson 1992), and direct flows of resources toward the fulfillment of consumer needs (Mises 1949). In such conditions, entrepreneurial activity, which implies continuous innovation or “creative disruption” of market, leads to effectiveness of firm’s performance (Schumpeter, 1934). To say distinctly, firms pursuing innovation strategies, create market imperfections and thereby opportunity to achieve competitive advantage over its competitors and so far gain better performance results (Eckhardt and Shane, 2003). Innovation strategy per se is one of the elements of organizational climate supported by external or market oriented cultural norm and values (Slater & Narver, 1995; Srinivasan, Lilien, and Rangaswamy, 2002; Hult et al. 2003; Zheng Zhou et.al., 2005). In empirical study of market orientation- innovation-organizational performance link Han et.al (1998) found that market oriented values are positively related to innovation and organizational performance and that innovation mediates this link. In the context of transition economies, innovation strategies can take different forms: successful development of new products, upgrading existing product lines, introducing new technologies, new plants opening, new quality accreditation obtaining and etc. All these strategies allow for effective adaptation to new market conditions and better performance. Innovation in this study is considered as the result of a specific organizational climate driven by cultural value and norms oriented on *external adaptability*. Hence,

P_{3a}: Organizational culture focused on external adaptability will have positive influence on innovation.

P_{3b}: Innovation will have positive influence on firm’s performance.

Mediating Effects of Organizational Efficiency and Innovation. Recognizing circumstantial and piecemeal support for organizational efficiency and innovation serving a meditational role for organizational culture/firm’s performance link, we suggest that:

P_{4a}: The influence of organizational culture focused on internal consistency on firm’s performance will be mediated by organizational efficiency.

P_{4b}: The influence of organizational culture focused on external adaptability on firm's performance will be mediated by innovation.

4. Conclusions and Policy Implications

The goal of this paper is to clarify the domain of concept and provide working typology of organizational culture for firms in transition economies. Additionally, we highlight the impact of different types of organizational culture on firm's performance. Finally, and in significant departure from previous work, two factors – organizational efficiency and innovation- were introduced as potential mediators of the link between organizational culture and firm's performance.

Though this study has rather propositional than empirical nature, our research propositions have both theoretical and managerial implications.

First, the study provides an opportunity for a new look at the nature of organizational culture/firm's performance relationship. Particularly, it supposed to generate an insight of mediating effects of organizational efficiency and innovation on organizational culture/firm's performance link.

Second, the development of organizational culture construct peculiar for transition economies context could advance the theoretical framework for business studies in these countries.

Third, the results of study can also be useful for managers of individual firms providing them with better understanding of the strategic issues that contribute to attaining performance effectiveness goals.

Forth, the study results can contribute to a certain extent to economic development of Georgia and other transition economies, as far as they may provide the basis for development and improving market performance of individual companies.

5. References

1. Barney, J. B. (1986), "Organizational Culture: Can it be a Source of Sustained Competitive Advantage?" *Academy of Management Review*, Vol. 11, pp. 656-665.
2. Barney, J. B. (1991), "Firm Resources and Sustained Competitive Advantage," *Journal of Management*, Vol. 17 (1), pp. 771-792.
3. Barney, J. B. (2001), "Resource-based theories of competitive advantage: A ten-year retrospective on the resource-based view", *Journal of Management*, Vol. 27, pp. 643 - 650.
4. Berson Y., Oreg S. and T. Dvir (2008), "CEO Values, Organizational Culture and Firm Outcomes," *Journal of Organizational Behavior*, Vol. 29(5), pp. 615-633.
5. Berulava G. (1999), *Marketingovaya Model Firmi*. Izd. "Tsodnis Tskaro", Tbilisi.
6. Berulava, G. (2003), "Prerequisites and Outlooks of Marketing Application in Georgia", *Proceedings, Economic Series, the Georgian Academy of Sciences*, Vol. 11 (4), pp. 381-390.
7. Beugelsdijk, S., Koen, C., and Noorderhaven, N. (2009). "A Dyadic Approach to the Impact of Differences in Organizational Culture on Relationship Performance." *Industrial Marketing Management*, Vol. 38 (3), pp. 312-323.
8. Conner, K. R. (1991). "A Historical Comparison of Resource-Based Theory and Five Schools of Thought within Industrial Organization Economics: Do We Have a New Theory of the Firm?" *Journal of Management*, 17 (1), pp. 121-154.
9. Denison, D.R. & Mishra, A.K. (1995), "Toward a Theory of Organizational Culture and Effectiveness," *Organization Science*, 6 (2), pp. 204-223.

10. Deshpande, R. and F. E. Webster, Jr. (1989), “Organizational Culture and Marketing: Defining the Research Agenda,” *Journal of Marketing*, Vol. 53 (January), pp. 3-15.
11. Deshpande, R. and J. U. Farley (2004), “Organizational Culture, Market Orientation, Innovativeness, and Firm Performance: An International Research Odyssey”. *International Journal of Research in Marketing*, Vol. 21 (1), pp. 3-22.
12. Deshpande, R., Farley, J. U. and F.E. Webster, Jr. (1993), “Corporate Culture, Customer Orientation, and Innovativeness in Japanese Firms: A Quadrant Analysis,” *Journal of Marketing*, Vol. 57 (January), pp. 23-37.
13. Dickson, P. R. (1992), “Toward a general theory of competitive rationality,” *Journal of Marketing*, Vol. 56 (January), pp. 69-83.
14. Eckhardt J. T. and S. A. Shane (2003), “Opportunities and Entrepreneurship,” *Journal of Management*, Vol.29 (June), pp. 333 - 349.
15. Farley, J. U., Hoenig, S., and I. Zenobia (2008), “Organizational Culture, Innovativeness, Market Orientation and Firm Performance in South Africa: An Interdisciplinary Perspective,” *Journal of African Business*, Vol. 9 (1), pp. 59-76.
16. Farrell, M. J., (1957), “The Measurement of Productive Efficiency,” *Journal of the Royal Statistical Society, Series A*, Vol. 120(3), pp. 253-282.
17. Fey C. F. and Denison D.R (2003), “Organizational Culture and Effectiveness: Can American Theory be Applied in Russia,” *Organization Science*, Vol. 14 (6), pp. 686-706.
18. Gaciaz B., Grigorashvili, G. and W. Pankow (1996), “Transformation of State Enterprises in Georgia,” “*Issledovania i analiz*”, № 93, CASE, Warsaw
19. Gallagher, S., Brown, C. and Brown, L. (2008), “A Strong Market Culture Drives Organizational Performance and Success,” *Employment Relations Today* (Wiley), Vol. 35 (1), p. 25-31.
20. Han J. K., N. Kim, and R. K. Srivastava (1998). “Market orientation and organizational performance: is innovation a missing link?” *Journal of Marketing*, Vol. 62 (4), pp. 30-45.
21. Hult G., Tomas M., C. C. Snow, and D. Kandemir (2003), “The Role of Entrepreneurship in Building Cultural Competitiveness in Different Organizational Types,” *Journal of Management*, Vol. 29 (3), pp. 401 - 426.
22. Kirca A. H., S. Jayachandran, and W.O. Bearden (2005), “Market Orientation: A Meta-Analytic Review and Assessment of Its Antecedents and Impact on Performance,” *Journal of Marketing*, Vol. 69 (2), pp. 24-41.
23. Leibenstein, H. and S. Maital (1992), “Empirical Estimation and Partitioning of X-Inefficiency: A Data-Envelopment Approach,” *The American Economic Review*, Vol. 82(2), pp. 428-433.
24. Lippman, S.A. and Rumelt R. P. (1982), “Uncertainty Immitability: An Analysis of Interfirm Differences in Efficiency Under Competition,” *Bell Journal of Economics*, Vol.13, pp. 418-453.
25. Mises, L. (1949), *Human Action: A Treatise on Economics*. New Haven: Yale University Press.
26. Neal A., M. A. West, and M. G. Patterson (2005), “Do Organizational Climate and Competitive Strategy Moderate the Relationship Between Human Resource Management and Productivity?” *Journal of Management*, Vol. 31, pp. 492 - 512.
27. Quinn, R.E. (1988), *Beyond Rational Management*. San Francisco: Jossey-Bass Inc., Publishers.
28. Schneider, B. and J. Rentsch (1987), “Managing Climates and Cultures: A Futures Perspective,” in *Futures of Organizations*, Gerald Hage, ed. Lexington, MA: Lexington Books.
29. Schumpeter, J. A. (1934). *The Theory of Economic Development*. Cambridge, MA: Harvard University Press.

30. Slater, S.F. and Narver, J.C. (1995), "Market orientation and the learning organization," *Journal of Marketing*, Vol. 59 (July), pp.63-74.
31. Smirchich, L. (1983), "Concepts of Culture and Organizational Analysis," *Administrative Science Quarterly*, Vol. 28 (September), pp. 339-358.
32. Srinivasan R., G. L. Lilien, and A. Rangaswamy (2002), "Technological Opportunism and Radical Technology Adoption: An Application to E-Business," *Journal of Marketing*, Vol. 66 (3), pp. 47-60.
33. Van de Ven, A. (1976). "On the Nature, Formation, Maintenance of Relations Among Organizations," *Academy of Management Review*, Vol.1 (October), pp. 24-36.
34. Wernerfelt, B. (1984), "A Resource-Based View of the Firm," *Strategic Management Journal*, 5, pp.171-180.
35. Wilkins, A. and Ouchi, W.G. (1983), "Efficient Cultures: Exploring the Relationship between Culture and Organizational Performance," *Administrative Science Quarterly*, Vol. 28, pp. 468-481.
36. Williamson O.E. (1975), *Markets and Hierarchies: Analysis and Antitrust Implications*. New York: Free Press.
37. Williamson, O.E. (1981), "The Economics of Organization: The Transaction Cost Approach," *American Journal of Sociology*, Vol. 87(3), pp. 547-577.
38. Winston, E. and K. Q. Dadzie, (2007), "Organizational Culture in Cote d'Ivoire: Analysis of Cultural Types and Firm Performance," *Journal of African Business*, Vol. 8 (1), pp. 99-112.
39. Zheng Zhou K., C. K. (Bennett) Yim and D. K. Tse (2005), "The Effects of Strategic Orientations on Technology-and Market-Based Breakthrough Innovations", *Journal of Marketing*, Vol. 69 (2), pp. 42-60.

გიორგი ბერულავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი,
ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირმა დიხამინჯია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ორგანიზაციული კულტურის და ფირმის საქმიანობას შორის
ურთიერთკავშირზე კონცეპტუალური შეხედულება**

რეზიუმე

მიმდინარე კვლევა ცდილობს შეიმუშაოს კონცეპტუალური შეხედულება და გააფართოვოს ცოდნა ორგანიზაციულ კულტურას და ფირმის საქმიანობას შორის არსებული კავშირის შესახებ, გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკის პირობებში. ამ კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ჰიპოტეზის შემუშავება იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ორგანიზაციული ეფექტიანობა და ინოვაცია ორგანიზაციული კულტურისა და ფირმის საქმიანობას შორის ურთიერთკავშირზე.

საჯარო ეკონომიკა

თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საჯარო სექტორის ფორმირების თეორიული ასპექტები და მისი ჩამოყალიბების ტენდენციები საქართველოში

სამეცნიერო ლიტერატურაში საჯარო სექტორის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა არ არსებობს. ერთნი მიიხნევენ, რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებასთან და საერთოდ არ უნდა ეხებოდეს ეკონომიკურ საქმიანობას.

სახელმწიფო, როგორც ეკონომიკის სპეციფიკური სექტორი, ხასიათდება განსაზღვრული რესურსული პოტენციალით, სხვადასხვა ტექნოლოგიებით, მოსახლეობისა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირით, გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის მექანიზმებით და სხვა. რესურსების ერთობლიობა, რომელიც იმყოფება უშუალოდ სახელმწიფოს განკარგულებაში, წარმოქმნის მეურნეობის საჯარო სექტორს.

საჯარო სექტორი – ეს არა მარტო სახელმწიფო საწარმოების ერთობლიობაა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საკუთრებაში, არამედ ფულადი სახსრებიც. ამასთან დაკავშირებით, გადამწყვეტი როლი საჯარო სექტორის კომპონენტებს შორის უჭირავთ სახელმწიფო ფონდებს: სახელმწიფო ბიუჯეტს, მის შემოსავლებსა და ხარჯებს.

საჯარო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკის ისეთ სფეროს, ანდა ეკონომიკური სივრცის ნაწილს, სადაც: ბაზარი არ მოქმედებს, ანდა მოქმედებს ნაწილობრივ; წარმოება, განაწილება და მოხმარება ხდება არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი საქონლის; ეკონომიკური წონასწორობა საზოგადოებრივი საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ხორციელდება სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების დახმარებით და საბიუჯეტო-ფინანსური პოლიტიკით.

საბაზროსაგან განსხვავებით, საჯარო სექტორს საქმე აქვს საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან, რომელიც უმეტესწილად არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საგანს. იმ შემთხვევაში, თუკი ხორციელდება კომერციული გარიგება საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან მიმართებაში, იგი არ განიხილება საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მთავარ აღმქვრელ მოტივად. ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციებს უწოდებენ არაკომერციულს (არამომგებიანს). იმის გამო, რომ სახელმწიფო სექტორში დომინირებული როლი სახელმწიფო საქმიანობას უჭირავს, მას ხშირად ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს უწოდებენ.

საჯარო ეკონომიკის სექტორის სტრუქტურა არაერთგვაროვანია და 3 ქვესისტემისაგან შედგება: სახელმწიფო, ნებაყოფლობით-საზოგადოებრივი და შერეული.

საჯარო სექტორის მასშტაბები ხასიათდება როგორც სახელმწიფო საკუთრების (რესურსების მარაგი) ზომებით, ისე სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობით.

საჯარო სექტორის მასშტაბები ძირითადად დამოკიდებულია არა მარტო ქვეყნის ობიექტურ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, არამედ ტრადიციებსა და გატარებული პოლიტიკის თავისებურებებზე.

ვაგნერის კანონის თანახმად (რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იქნა ფორმულირებული), საჯარო სექტორის წილი ეკონომიკაში მუდმივად იზრდება ისტორიულ პერსპექტივაში. გერმანელი ეკონომისტი ამ კანონზომიერებას საზოგადოებრივი საქონლით უკავშირებდა კერძო ბაზრის დაპყრობის პროცესს. XX საუკუნეში საჯარო სექტორის სვედრითი წილი ნამდვილად გაიზარდა ვინაიდან ამ სექტორმა დაიწყო მოსახლეობის ფართო ფენების მომსახურება. მნიშვნელოვნად მეტი სახსრების დახარჯვა ხდებოდა საზოგადოებრივ კეთილდღეობის წარმოებასა და განსაკუთრებით გადამანაწილებელ (სოციალურ) პროგრამებზე. თუმცა, მთლიანობაში, განვითარებული ქვეყნებისათვის ბოლო 20 წლის განმავლობაში დამახასიათებელია საჯარო სექტორის წილის სტაბილიზაციის ტენდენცია ეროვნულ მეურნეობაში.

პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში ხდება თანამედროვე საჯარო სექტორის ფორმირება, რადგანაც მანამდე არსებული ეკონომიკური სისტემის ჩარჩოში კერძო და საჯარო სექტორის გამიჯვნა არააქტუალური იყო.

სამეურნეო გარდაქმნების არსებული გამოცდილება დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკის ტოტალური კაპიტალიზაცია თავისთავად არ წყვეტს არც ერთ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემას. დღეისათვის აბსოლუტურად ნათელია “ტოტალური” ბაზრის იდეის მცდარობა, რომელმაც პრაქტიკულად ვერც ერთ ქვეყანაში ვერ გაამართლა. ასევე მცდარია “ტოტალური” სახელმწიფოს იდეაც, როცა ყველაფერი იგეგმება და იმართება სახელმწიფოს მიერ და ბუნებრივი საბაზრო მექანიზმები იბლოკება. ამიტომაც, ახალ პირობებში ჩნდება სახელმწიფო რეგულირების უფრო მოქნილი, ამასთან საკმაოდ ძლიერი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც დაეყრდნობა პრობლემისადმი ყოველმხრივ აწონ-დაწონილი მიდგომის და ე.წ. “ოქროს შუალედის” პრინციპს.

დღეისათვის სახელმწიფო სექტორი არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ყველგან სახელმწიფო სექტორის მიერ თავისი ობიექტების გასხვისება ხდება პრივატიზაციის გზით. ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება თვით პრივატიზაციის პროცესის ტემპებს, საპრივატიზაციო ობიექტების უშეცდომოდ შერჩევას და ა.შ. სახელმწიფო სექტორის ოპტიმალური სიდიდეც რთულად შესარჩევია. ერთის მხრივ, როდესაც დგება ეკონომიკის კრიზისი, სახელმწიფო სექტორი ბევრ ქვეყანაში “მაშველი რგოლის” როლში გამოდის, მეორეს მხრივ, მისი უზომოდ გადიდება იწვევს მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რაც გამოიხატება ინფლაციის, გადასახადების ზრდაში და ა.შ.

მსოფლიო გამოცდილება გვეარნახობს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელი პანაცეა არ არსებობს. ყველა განვითარებული ქვეყანა კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს. პრაქტიკაში ეს გამოიხატება მარეგულირებელი ციკლის “პრივატიზაცია-ნაციონალიზაცია” ფორმირებაში. მაგალითისათვის შეიძლება ინგლისისა და საფრანგეთის გამოცდილების მოყვანა.

სახელმწიფო სექტორის ზომების კორექტირება უნდა მოხდეს სახელმწიფო რეგულირების სისტემისადმი დიდი მოქნილობის მინიჭების გზით.

სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობის რაოდენობრივი ნორმები არ არის უნიფიცირებული და საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო სექტორს მიაკუთვნებენ მხოლოდ იმ საწარმოებს, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია. თუმცა, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ყოველწლიურად დგება “ნაციონალური საწარმოების ნომენკლატურა”, მასში შედის საწარმოები სახელმწიფოს მონაწილეობის 30%-ზე მეტი წილით.

მსოფლიო გამოცდილება გვჩვენებს, რომ საზოგადოების არსებობისათვის საჭირო ფუნქციების რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით შეუძლებელია, ისინი აუცილებლად უნდა დარეგულირდეს სახელმწიფო ჩარევის სისტემით.

სახელმწიფო სახავს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, უზრუნველყოფს რესურსების კონცენტრირებას ამ მიმართულებებით, გამოყოფს სუბსიდიებს, აძლევს შეღავათებს საწარმოებს, არეგულირებს საგარეო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს უწყვეტი კავშირის განხორციელებას პროდუქციის მიწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პრინციპებია:

- ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო ორგანოების მინიმალური ჩარევა;
- ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.

სახელმწიფო სექტორში კონკურენციის გაძლიერების კარგ შესაძლებლობას ქმნის მისი ურთიერთობა საბაზრო სექტორთან ე.წ. “საკონტრაქტო” ურთიერთობების მეშვეობით. ეს პრაქტიკა ახალი არაა. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში იგი საკმაოდ მასშტაბური გახდა. ურთიერთობათა სფერო სულ უფრო ფართოვდება სხვადასხვა რთული შინაარსის მომსახურებაზე სახელმწიფო სტრუქტურების მოთხოვნათა ზრდის ხარჯზე (იურიდიული, კონსალტინგური მომსახურება, აუდიტი და ა.შ.), რომლებიც ხორციელდება მაღალსპეციალიზებული და მაღალპროფესიული კერძო კომპანიების მიერ. კონტრაქტების სისტემაში აუცილებლად გაითვალისწინება საზოგადოებრივ სიკეთეთა მთელი სპექტრი, რომელთა მიწოდება მოსახლეობისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობით ხდება. ადრე მათი განხორციელება სახელმწიფო სექტორის ფარგლებში კონცენტრირდებოდა. მასში შედის: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, საინჟინრო ნაგებობების და კომუნიკაციების პროექტირება, მშენებლობა და მომსახურება, ქუჩების დასუფთავება, ნაგვის გატანა, საპოლიციო მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური პროგრამები.

ამგვარად, ადგილი აქვს საზოგადოებრივი მომსახურების ნაწილის დელეგირებას სახელმწიფო სექტორიდან კერძო და არაკომერციულ სექტორებში და ამით სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას მათ წარმოებაში. იგივე საკონტრაქტო ურთიერთობები ხორციელდება თვით სახელმწიფო სექტორის შიგნით: ერთი საწარმო მიმართავს სხვა საწარმოს დახმარებისათვის, რათა შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს ხარისხი, ანუ საბოლოოდ მაღალ კონკურენტუნარიანი გახდეს.

კონტრაქტული ურთიერთობების განვითარებას თან სდევს წინადადებათა არჩევის შესაძლებლობების ზრდა. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოები და დაწესებულებები ვალდებული არიან, გამოაცხადონ კონკურსი ამა თუ იმ მომსახურების მიღებაზე, სადაც აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ არასახელმწიფო სექტორის სუბიექტები. კერძო მწარმოებელთა მონაწილეობა ამგვარ კონკურსებში თვით სახელმწიფო სექტორის სტრუქტურებს ხელს უწყობს, გაზარდოს თავისი მანევრებლბეი დანახარჯთა შემცირების გზით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაშიც კი სახელმწიფო საწარმო მუდმივად გრძნობს “საშიშროებას” კერძო სტრუქტურების მხრიდან, რაც მომავლისათვის უბიძგებს მას გააუმჯობესოს თავისი მანევრებლბეი და სრულყოს შედეგები, ანუ სახელმწიფო სექტორი კერძო სექტორის მხრიდან “ტესტირებას გადის”.

ნიშანდობლივია, რომ საბაზრო ტიპის მექანიზმი სულ უფრო ძლიერ იკიდებს ფეხს სახელმწიფო სექტორის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება, სოციალური მომსახურება, კომუნალური მეურნეო-

ბა. ამ დარგებში, როგორც წესი, მომსახურების გაწვევის უდიდესი წილი სახელმწიფოს ხელშია. მაგრამ ხშირად, ამ დარგების დიდი მნიშვნელობის და მასში ხარჯების სწრაფი ზრდის გამო, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეფექტურობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვის გზითაა შესაძლებელი. თუკი ბაზარზე არსებობს მსგავსი მომსახურების სხვადასხვა მიმწოდებელი, მომხმარებელი ირჩევს უფრო ხარისხიანს, იაფს, რაც თვით მიმწოდებელს უბიძგებს სწორედ ამ კომპონენტების სრულყოფისაკენ, რათა წარმატება მოიპოვოს კონკურენციულ გარემოში.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება საკონტრაქტო ურთიერთობების დანერგვის ეფექტურობის ნათელი მაგალითია. მაგალითად, შეეციაში აღნიშნულ მეთოდზე გადასვლის შემდეგ დანახარჯები საგზაო მეურნეობის, წყალმომარაგების შენახვაზე შემცირდა 10-13%-ით, ნავის გატანაზე – 25%-ით; დიდ ბრიტანეთში იგივე მაჩვენებელი უტოლდება 6%-ს; აშშ-ში 20-დან 35%-მდე მერყეობს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე სახელმწიფოს რეგულირების როლი შედარებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საბაზრო მეურნეობაში. ეს დაკავშირებულია შემდეგ მიზეზებთან. პირველ რიგში, გარდამავალ ეტაპზე ბაზარი იმყოფება ჩამოყალიბების ეტაპზე და მისი თვითრეგულირებადი შესაძლებლობები არასაკმარისად მაღალია, რაც განაპირობებს სახელმწიფოს აქტივობის გაზრდას ეკონომიკის რეგულირებაში. მეორე მხრივ, სახელმწიფო მოწოდებული არეგულიროს ტრანსფორმაციის პროცესი და სტიმული მისცეს ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნას და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი უნდა გამოდიოდეს საზოგადოებრივი ინტერესების გარანტად, მაგრამ რიგი პოლიტიკური ძალებისა მოითხოვენ მის შემცირებას და გაუქმებასაც კი. აქ ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველ რიგში, სახელმწიფოს და პოლიტიკური ძალაუფლების სისუსტე. მეორე მხრივ, სახელმწიფო საკუთრების მართვის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა. უკანასკნელზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2010 წელს საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ბიზნეს-გეგმების მიხედვით 348 სახელმწიფო საწარმოდან 13% არის ზარალიანი, 40% – მხოლოდ მცირე მოგების მქონე და 57% – მომგებიანი.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო სექტორის არსებობა ქვეყანაში აუცილებელია და მნიშვნელოვანი. სახელმწიფო სექტორის ზომების კორექტირება უნდა მოხდეს სახელმწიფო რეგულირების სისტემისადმი დიდი მოქნილობის მინიჭების გზით.

სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის ამაღლება, პირველ რიგში სახელმწიფო საწარმოთა მართვის ეფექტიანობის ამაღლებას გულისხმობს. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს ისეთი სახელმწიფო საკუთრების მართვის ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც მორგებული იქნება ქვეყნის ეკონომიკასა და მისი განვითარების პერსპექტივაზე. გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ დარგში არსებული სპეციფიკა და რაც მთავარია, ყოველივე ეს წინააღმდეგობაში არ მოვა საზოგადოების ინტერესებთან. სხვა შემთხვევაში ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სოლომონ პალიაშვილი. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბ., 2009.
2. Л. И. Якобсон. Государственный сектор экономики: экономическая теория и политика. М. 2000.
3. Дж. Стиглиц. Экономика государственного сектора. М. 1997.
4. www.geostatf.ge

Lazarashvili Tea
Academic Doctor of Economics

**THEORETICAL ASPECTS OF FORMING OF PUBLIC SECTOR AND ITS
TRENDS IN GEORGIA**

Summary

In the work there is considered the essence, structure and significance of a public sector. There is analyzed the causes and functions of the existence of a public sector. There is revealed the theoretical aspects of a public sector generally and specifically, the peculiarities of the forming of a public sector in Georgia.

სოფლის მეურნეობა

თენგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**აგრარული რეფორმები და მცხვარეობის განვითარების პერსპექტივები
აღმოსავლეთ საქართველოს ალპურ მცხვრეველობაში**

საქართველოს მდებარეობა, მისი რთული რელიეფი, კლიმატური და ნიადაგური სიტუაცია და მრავალფეროვნება, მიწის ფონდის სტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასრულყოფილი ტრანსფორმაცია აგრარული რეფორმის გატარების პირობებში ბევრი აქტუალური საკითხის დაუყოვნებლად გადაჭრის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი მიწის ფონდის 54% მთებს უკავია, 33% მთისწინებს და მხოლოდ 13% დაბლობს. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან სახნავი შეადგენს 23%, მრავალწლიანი ნარგავები შესაბამისად 8,2%, ნასვენნი 0,2%, სათიბი 5,3%, ხოლო საძოვარი 63,3% (აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი საძოვრების საერთო ფართობი 427401 ჰექტარს შეადგენს). ამასთან, საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალმთიანი საზოგადოებას და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ცხვრის საძოვრებად შეიძლება მათი გამოყენება.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეროზირებულია 500 ათასი ჰექტარამდე საძოვარი; დიდი ფართობებია მეწყერებით, ხრამებითა და სხვა ბუნებრივი მოვლენებით დაზიანებული, რომელთა უდიდესი ნაწილი მთის რეგიონებზე მოდის.

ამდენად, უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ამოცანას შეადგენს მიწების დაცვა, რაც თავის მხრივ ისეთი ეკონომიკური და სოციალური საკითხის გადაჭრას მოითხოვს, როგორცაა საადგილობრივ ურთიერთობათა სრულყოფა, სავარგულების გაუმჯობესებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად მეცნიერულად დასაბუთებული და კონკრეტული პირობებისათვის გამოსაყენებელი რეკომენდაციების დამუშავება და ა.შ. ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური და თანაც რთულია მთიანი რაიონებისათვის.

მიწების საერთო სახლხო საკუთრებად გამოცხადებამ ისეთი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, რომელიც ძნელად გამოსწორდება. ამან მიგვიყვანა მიწების განუკითხავ ექსპლოატაციას და გაუპიროვნებლობასთან, რამაც გამოიწვია მთის საძოვრების გადატვირთვა, სახნავების მიტოვება და შედეგად მათი ჩამორეცხვა-განადგურება. მეტად უარყოფითი როლი შეასრულა გიგანტური ინფრასტრუქტურის მოშლა. ამან კი მოსახლეობის მიგრაცია გააძლიერა [3]. მაგალითად, ხევსურეთში მეურნეობრივი ტრადიციული ფორმების მოშლის შედეგად იძულებითმა მიგრაციამ კუთხე დაცარიელების ზღვარზე მიიყვანა. 1991 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ხევსურეთის სათემო საბჭოში ცხოვრობდა 921 მოსახლე, აქედან ბარისახოს თემში 443, გუდანში 256 და შატილში 222.

მთიან რეგიონებში ამ უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობას აგრარული რეფორმების გატარების პირობებში წარმოადგენს მიწების სოფლების მიხედვით ისტორიულ საზღვრებში განაწილებისა და ადგილობრივ მმართველობაზე გადაცემის უზრუნველყოფა; იქ, სადაც ისტორიული საკუთრების ფორმები მოსახლეობის ტრადიციებიდან არ წაშლილა, მიწები ყოფილ მფლობელთა მემკვიდრეებს უნდა დაუბრუნდეს, სხვა შემთხვევებში კი შეიქმნას კოოპერაციები და ასოციაციები. ასეთი მმართველობის ფორმების საწყისები უკვე ჩამოყალიბდა რიგ რეგიონებში, სათემო საბჭოსა და გლეხთა

ასოციაციების სახით. მაგალითად, 1990 წლის სექტემბერში, ხევსურეთში ისტორიულად არსებული თემების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა ხევსურეთის თემთა საბჭო [5].

მისი ძირითადი მიზანია ხევსურეთის აღორძინება – განახლება. იგი მტიცივედ უჭერს მხარს ისტორიულად ნაცადი ეკონომიკური სტრუქტურის აღდგენას; არეგულირებს ხევსურეთის სათემო მფლობელობაში გადაცემული მიწის საკითხებს, მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს, იცავს და პატრონობს ბუნებრივ სიმდიდრეებს; განაგებს თემთა საბჭოს საკუთრებაში არსებულ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, იხილავს და წყვეტს ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იგი არის იურიდიული პირი, აქვს შტამპი, ბეჭედი და ემბლემა, საკუთარი ანგარიში სახელმწიფო ბანკში, ბეჭდვითი ორგანო „გუშაგი“. მისი ადგილსამყოფელია დუშეთის რაიონი, სოფელი ბარისახო. იგი შედის დუშეთის რაიონის შემადგენლობაში და ანგარიშგაღებულა გამგებლობისა და სრულიად ხევსურეთის მოსახლეობის ყრილობის წინაშე.

ხევსურეთის თემთა საბჭო არეგულირებს ურთიერთობებს თემთა შორის, იცავს კუთხისა და ერის ინტერესებს. სათემო საბჭოსთან შეთანხმებით ხელშეკრულების საფუძველზე აქირავენ ხევსურეთის საძოვრებს სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. განსაზღვრავს „საბალახე“ გადასახადის ფორმებს, მათ შორის საზამთრო-საზაფხულო საძოვრების გაცვლის, ფულადი თუ ნატურით გადახდის საკითხებს, ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს, აკონტროლებს ყოველგვარ მშენებლობებს მის ტერიტორიაზე და სხვა.

ხევსურეთის თემთა საბჭო თავის სახსრებს იყენებს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც აისახება საფინანსო გეგმაში (ბიუჯეტში) და რომელსაც ამტიციებს თემთა საბჭო. ძირითადი საქმიანობის გარდა თემთა საბჭოს სახსრები ხმარდება მრავალშვილიანობის წახალისებას, ბარიდან ახლად ჩამოსახლებული და ახლად შექმნილი ოჯახების დახმარებასა და სამეურნეო მოწყობას; მათთვის შენობა ნაგებობათა მშენებლობას, პირუტყვისა და ფუტკრის შექმნას, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საჭირო ღონისძიებებს; თავისი კარგი საქმიანობით გამორჩეულთა წახალისებას, საშუალო-სპეციალური და უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადებას, უმეურვეოდ დარჩენილი მოხუცებისა და იხვადიდების, დაობლებული ბავშვებისათვის დახმარების გაწევას, ძველი სოფლების აღდგენას და სხვა. სახსრების ხარჯვისათვის თემთა საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშგაღებულა თემთა საბჭოს წინაშე, რომელსაც ანგარიშს აბარებს საბჭოს სხდომებზე.

ხევსურეთის თემთა საბჭოს უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას მისი საქმიანობის შესატყვისი დაწესებულებები, საზოგადოებები, ასოციაციები, ერთობლივი საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ფირმებთან ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, გამოსცეს საკუთარი გაზეთი. რაც შეეხება ხევსურეთის სათემო მიწათმფლობელობას, აქ პრივატიზაცია არ განხორციელებულა. მიწები ოდითგან თემთა საკუთრებაში იყო: ტყე, გზა, საძოვარი, სახნაფ-სათესი და ა.შ.

ფშავში პრივატიზებას დაექვემდებარა სათიბ-საძოვარი და მეცხოველეობა. აქ 1991 წლის სექტემბრის თვეში დაიშალა ფხოვის 300 არაგველის სახელობის კოლმეურნეობა და მასში არსებული ცხვარი, სულ 3397 სული გაიდა მოსახლეობაზე, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (თითო წევრს მიეცა 18 სული). განაწილება მოხდა გვიან შემოდგომით, ზამთრის დასაწყისში. მოსახლეობა მოუმზადებელი აღმოჩნდა ცხვარი საკვებითა და სადგომი ბინებით

მოემარაგებინა. ამიტომ იძულებული გახდნენ, გაეყიდათ ან დაეკლათ პირუტყვი. ცხვარი შეისყიდეს ძირითადად იმ აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც დაქირავებით მუშაობდნენ მათთან. არ გასულა 3-4 თვე, მოხდა ფულის ინფლაცია და ზოგმა ოჯახმა ვერც კი მოასწრო ცხვრის რეალიზაციიდან მიღებული ფულის გამოყენება. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაციის შედეგად.

შუაფხოს საკრებულოსათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა საზაფხულო საძოვრების გაქირავება; მათ აქვთ 15000 ჰა საზაფხულო საძოვარი და ჰყავთ 5000 სული ცხვარი. მოსახლეობა 70 კომლია. 5000 სულ ცხვარს ნორმით სჭირდება (1 ჰა – 3-4 ცხვარი) 2000 ჰა, დანარჩენი 13000 ჰა შეიძლება გაქირავდეს 32500 სულზე, რომლის სავარაუდო შემოსავალი იქნება ყოველ ათ ცხვარზე 1 ცხვარი საკრებულოსათვის ანუ 3250 სული ცხვარი ყოველ წელს თვითონ რომ არ იმუშაონ, საკრებულოსათვის ეს შემოსავალი მუდმივია.

ფშავის ტერიტორია დაკავებულია სასაძოვრე მთებითა და ტყეებით. აქ მაპროფიტებელია მეცხვარეობა, ხოლო დამხმარეა მეფუტკრეობა და მერძეული მეცხოველეობა. ყველაზე მძიმე სამუშაო მთის სოფლებში საკვების დამზადებაა. აქ პირუტყვი ძნელად მარაგდება უხეში საკვებით. ვინაიდან ეს ყველაფერი ალპურ ზონაშია დასამზადებელი, საბაგირო გზების უქონლობა ძალზე აძნელებს თვით მომარაგების საქმეს.

ჩვენი აზრით, მიწათსარგებლობის სათემო ფორმა უნდა დაინერგოს პირველ რიგში მთიულ-გუდამაყარში და მთლიანად ყაზბეგის რაიონში და ა.შ. დღეს მთის აღორძინება მხოლოდ ამ გზით შეიძლება. თავისუფალმა ხალხმა წინაპართა კუთვნილ მიწაზე უნდა იცხოვროს თავისი კერძო მეურნეობით. ამას ითვალისწინებს კანონი (მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ), რომელიც პარლამენტმა გამოსცა 1999 წლის ივლისში. ფშავ-ხევსურეთში აგრარული რეფორმის გატარების პირობებში მიწების სათემო საბჭოსათვის გადაცემა უდაოდ დადებითი მოვლენაა. ეს პროცესი დასახვეწია, იმდენად, რამდენადაც მან ვერ გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში პირუტყვის სულადობისა და ადგილობრივი მცხოვრებლების მატება, საძოვრების ცხვრით მასიური დატვირთვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათიბ-საძოვრების სათემო საბჭოსათვის გადაცემასთან ერთად ტრადიციული საკომლო-საოჯახო მეურნეობების აღდგენა. ამისათვის საჭიროა მეცხოველეობის გაძლიერების ადგილობრივი, ტრადიციული წესების შესწავლა, აღდგენა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის მისადაგება. მაგალითად, მთისა და ბარის სამეურნეო რესურსების თანმიმდევრული ათვისების მიზნით, ოდითგანვე ერთ სამეურნეო ერთეულად წარმოდგებოდა ივრის, არაგვის და ილტო-ალაზნის ხეობები, სადაც ყოველი ხეობა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იყო დაყოფილი და თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ პერიოდში დადასტურებულია საქონლის მოძრაობა დიდი რადიუსით – შიდა ქართლიდან ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებამდე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მემატინის ცნობა, თუ როგორ შეხვდა წმინა ნინო ფარავნის ტბის მიდამოებში მცხეთელ მწყემსებს [1]. ჩანს ეკონომიკის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების მიერ თავის დროზე გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო. მაღალმთიან ალპურ იალაღებთან ერთად, ზამთრის საძოვრებად ათვისებული ჩანს ბარის რაიონებიც, რაც მთისა და ბარის შერწყმის აუცილებელი პირობაა.

მ. მაჩაბლის ცნობით, 1882 წლის 21 მაისს მთელი თუშეთის საერთო კრებაზე დაადგინეს, რომ ალვანის ველი ოთხთვალის ტყით სამუდამოდ დარჩენილიყო თუშების საერთო სარგებლობაში. ყველა თუშს ეძლეოდა უფლება ცხვრის საშემოდგომო ძოვებისათვის ესარგებლა ამ ველით ან დამკვიდრებუ-

ლიყო ალვანში [1]. ამ შემთხვევაში ალვანის ველი იყო მისთვის ისეთი ადგილი, საიდანაც ადვილად მისწვდებოდნენ, ერთი მხრივ, ბარის საზამთრო საძოვრებს და მეორე მხრივ, ალპურ იალაღებს, თავიანთ ნასოფლარებს, რომლებიც უკვე საზაფხულო საძოვრების ფუნქციებს ასრულებდნენ. რაც შეეხება ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა პატრონობით იყვნენ დაკავებული, ზაფხულობით კვლავ უბრუნდებოდნენ თავიანთ ნასოფლარებს, ხოლო ნაწილი ტბათანაზე ადიოდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზამთრება ალვანში ხდებოდა, ცხერისა კი შირაქში კასრია წყალზე.

სახალხო სამეურნეო დიპლომატიის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა ჩენებისა და თუში მეცხვარე მწყემსების ურთიერთთანამშრომლობა. ისინი არამც თუ სარგებლობდნენ ერთი მეორის სასაძოვრო მთებით, არამედ ამხნაგობასაც კი ქმნიდნენ და ყიზლარის ზამთრის საძოვრებისკენ მიუყვებოდნენ გზას. საკუთრივ თუშებს ყონალობა (მეგობრობა) ჰქონდათ ჩენებთან, ლეკებთან, დიდოელებთან, აზერბაიჯანლებთან, რომლებსაც განაც ზამთრის საძოვრებს ქირაობდნენ. ამან განაპირობა ისიც, რომ თუშები ვაქებს, ენის სწავლების მიზნით, ხშირად ერთი წლითაც კი აბარებდნენ თავის აზერბაიჯანელ ყონაღებს. ადრე თითქმის ყველა თუშურ ოჯახში იყო ერთი აზერბაიჯანული ენის მცოდნე, მეენე, რომელიც მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს აგვარებდა [1].

მთის რესურსების ათვისების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტრადიციული საკომლო ოჯახების აღდგენა და ფუნქციონირება. მაგალითად, მთიულეთში საკომლო მეურნეობის ის ფორმა, რომელსაც ოჯახი აწარმოებდა ერთდროულად სოფელშიც და სამეურნეო ბაზებზეც, ორხელაობის სახელითაა ცნობილი. იმისათვის, რომ ზუსტად გავერკვეთ მეურნეობრიობის ამ ფორმაში, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მთიულეთის სოფელ წინამხარში მცხოვრებ იოსებ მელიქიშვილის ოჯახს 20-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 სული ცხვარი ჰყავდა. მამულები ჰქონდათ ამ სოფელში და სოფლიდან დაახლოებით 3 კმ-ზე – ჯავიათში. ოჯახი ძირითადად ცხოვრობდა წინამხარში და ჯავიათშიც ჰქონდათ მეორე სახლი. თუ სოფელში მდებარე მამულებს ხნავდნენ, ჯავიათს ასვენებდნენ, ამიტომ ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი ჯავიათში საძოვარზე გადადიოდა და საქონელიც თან მიყავდა. სოფელში რჩებოდნენ ისინი, ვინც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე იყვნენ გაპირობებული. ამით სოფელში მამულებს იცავდნენ, ხოლო ჯავიათი საძოვრების ფუნქციას ასრულებდა. მეორე წელს პირიქით ხდებოდა. ჯავიათს ხნავდნენ, ხოლო სოფელში მდებარე ნაკვეთებს ასვენებდნენ. ამის შესაბამისად, პირუტყვი მისი მომსახურე პერსონალით სოფელში გადმოდიოდა, ხოლო ხვანათესავაზე გაპირობებული წევრები ჯავიათში ინაცვლებდნენ.

ხევისურებს იმდენად ახლოს ჰქონდათ მთები, რომ შესაძლებელი ხდებოდა აქედან სოფელში ყოველდღიურად ჩამოსულიყვნენ. ქალი, რომელიც მორიგედ იყო გამოყოფილი, დილით ავიდოდა ძროხებთან, გამოწვევლიდა, რძეს გადაამუშავებდა, დამზადებულ პროდუქტებს წამოიღებდა და სოფელში ბრუნდებოდა.

აქ საოჯახო საქმეს მიხედავდა და საღამოს კვლავ მთაზე ავიდოდა საქონლის მოსაწველად და დასაბინავებლად. ქალებს მთაზე წასვლის რიგი ჰქონდათ დაწესებული. ერთ დღეს, რომ ერთი წავიდოდა, მეორე დღეს მეორე შეენაცვლებოდა. ცხადია, ეს ოჯახის შემადგენლობაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, მთიულეთის სოფელ გვიდაქის მკვიდრის მიხა ბუნუკურის გადმოცემით, თიბვის დროს მთაში მათი კომლიდან 19 მთიბაევი გადიოდა.

ორხელაობა მნიშვნელოვნად აფართოებდა ოჯახის მეურნეობას. ოჯახი ურთიერთკავშირში ანვითარებდა მთის მიწათმოქმედებასა და ალპური მეცხოველეობის ინტენსიური ფორმების შეთანაწყოებას. ამან განაპირობა დიდი ოჯა-

ხის, კომლის ხანგრძლივი შემონახულობა და ფუნქციონირება სასოფლო თემის ტრადიციების არსებობის პირობებში. ორხელაობის წარმოება შექმნილ მსოფლოდ მრავალრიცხოვან ოჯახებს. ის ხელს უწყობდა დიდი ოჯახების სიმტკიცეს, მის ერთიანობას, ხოლო როდესაც გაყრის საკითხი დადგებოდა, ამასაც სავსებით მომზადებული ხედვებოდა. პატარა ოჯახები ზრდასა და ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად სწრაფად გადადიოდნენ მეურნეობის ამ ფორმაზე. სპეციალისტები ორხელაობას ალპური მეურნეობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ, მეორე მხრივ, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამომთაბარო მეცხოველეობასთან.

ყველაზე დიდი პრობლემა მთაში არის პირუტყვისათვის საკვების დამზადება, ვინაიდან არ არის სათიბში მისასვლელი გზები. ამის გამო ზაფხულის საძოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი მასივები აუთვისებელია. ასეთი სათიბ-საძოვრები ბევრია მთიულ-გუდამაყარში, ფშავ-ხევსურეთში, მთა-თუშეთში და სვანეთში. როგორც ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, 1 ძროხას 5700 კგ თივა სჭირდება საკვებად ერთ წელიწადში (ე.ი. 285 ცალი დაწნეხილი თივა). მთაში როცა თიბავენ ადგილზე, იქვე ზვინავენ. ზამთრის პერიოდში თივა გაყინულ თოვლზე მთიდან ჩამოაქვთ დაცურებით, რაც მეტად შრომატევადი სამუშაოა.

მთის მცხოვრებლები ალტურვილნი არ არიან მცირე მექანიზაციის საშუალებებით. ტექნიკის გარეშე დარჩენილია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისინი მათზე გაპიროვნებულ მცირე ნაკვეთებსაც ვეღარ ამუშავენ.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია მექანიზაციის საწარმოო გაერთიანების შექმნა ან მცირე საწარმოების, კოოპერატივების ან ადრე არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღდგენა, რომელიც გლეხურ მეურნეობებს უზრუნველყოფდა (ფასით) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებით. ასევე აუცილებელია სოფლად ცოცხალი გამწევი ძალის, ხარების სულადობის მკვეთრი ზრდა.

ფშავ-ხევსურეთის სათემო მეურნეობების მიერ სახსრების უკმარისობის გამო არ ტარდება სათიბ-საძოვრების მოვლა-გაუმჯობესება, გზების მიყვანა, საძოვრების მორწყვა და სხვა. სათიბ-საძოვრების მცირე პროდუქტიულობას აპირობებს ის გარემოება, რომ მოუწესრიგებელია როგორც ორგანიზაციული, ასევე აგროტექნიკური მხარე. მათ მიმართ მოვლა არც წარსულში და არც ამჟამად არ წარმოებს. საძოვრების გარკვეული ნაწილი ქვიანია და მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს. ამას კიდევ ემატება ის, რომ ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე რეგულარულად არ ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: შხამიანი, სარეველა და პირუტყვისათვის სხვა უვარგისი ბალახ-მცენარეებისაგან მათი გაწმენდა; არ ტარდება ეროზიის საწინააღმდეგო ბრძოლა; მწირი, ხავსმოდებული, გაშიშვლებული, მენხერი საძოვრების გადახვნა და კულტურული და ველური ბალახების შეთესვის გზით ბალახნარის გაუმჯობესება; არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები და ა.შ. აღნიშნულ გარემოებებთან ერთად, ბუნებრივი საძოვრების დაბალ წარმადობას ისიც აპირობებს, რომ დღეისათვის პირუტყვის სულადობის არარაციონალურ დატვირთვასთან ერთად ჯერ კიდევ ადგილი აქვს უსისტემო ძოვებას; დანერგილი არ არის საძოვართბრუნვა და ნაკვეთ მორიგეობითი რაციონალური ძოვებითი სისტემა, თუმცა ამ ღონისძიებების ჩატარებისათვის მოგვეპოვებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა ზონისათვის შემუშავებული საძოვართბრუნვისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სქემები, მოძოვების კალენდარული გეგმები და სხვა.

მართალია ამ ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა დიდ შრომით და ფულად-მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ საკვებწარმოების გადიდების კვალობაზე ეს დანახარჯები, მოკლე პერიოდში 2-3-ჯერ და კიდევ უფრო მეტად ანაზღაურებალია.

აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო საძოვრების უმეტეს ნაწილზე, ახლო წარსულში, დიდი უწყლობა აღინიშნებოდა. ეს გარემოება ძალზე მძიმე პირობებს უქმნიდა ამ საძოვრებზე დაზამთრებულ ცხვარსა და საერთოდ მეცხოველეობას, მით უმეტეს, დოღის პერიოდში. ასეთივე წყლის უკმარისობა აღინიშნება ზაფხულის მთის საძოვრებზეც. ზაფხულის მეორე ნახევარში შრება წყლები და გვაღვიანობა მყარდება კავკასიონის უმეტეს მაღალმთიან საძოვრებზე.

ამიტომ იყო, რომ მეცხვარეობის განვითარების პრობლემათა შორის თავის დროზე რესპუბლიკაში ბუნებრივი საძოვრების გაწვდომის საკითხმა ჯეროვანი ყურადღება მიიქცია. აღმოსავლეთ საქართველოში საზამთრო საძოვრების გაწვდომის გაწვდომის 1955 წელს დაიწყო და ძირითადად 1965 წელს დამთავრდა. ამ დიდ ღონისძიებას ატარებდა და გაწვდომის ფართო ქსელს ექსპლოატაციას უწევდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საძოვრების გაწვდომის საექსპლოატაციო სამმართველოს კოლექტივი.

რესპუბლიკის შიგნით მოეწყო საზამთრო საძოვრების გაწვდომის ხუთი სისტემა: იაღლუჯის, უდაბნოს, ჩათმის, ყარღო-ნატბეურა-ტარიბანისა და პატარა შირაქი ელდარის გაწვდომის სისტემა.

საზამთრო საძოვრების გაწვდომის ხუთი სისტემის ფარგლებში აშენდა ხუთი მაღალწნევიანი წყალსატუმბავი სადგური. ეს სადგურები საზამთრო სადგურებს აწვდიან წამში 85,2 ლიტრს, ანუ საათში 306,4 კუბურ მეტრ წყალს. გარდა ამისა, საზამთრო საძოვრების წყლით მომარაგების მიზნით მოწყობილია წყლის თვითღინების წყალსადენები, რომლებიც საზამთრო საძოვრებს აწვდიან წამში 15,4 ლიტრს ანუ საათში 55,6 კუბურ მეტრ წყალს. ეი რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრების გაწვდომისათვის წყლის საერთო დებეტი უდრის წამში 100 ლიტრს ანუ საათში 362 კუბურ მეტრს. ამ წყლით 682865 მეტრის წყალსადენის ქსელის საშუალებით გაწვდომებულია რესპუბლიკაში 197995 ჰექტარი საზამთრო საძოვრები.

რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრებზე წყლის განაწილების რეგულირების მიზნით გამართულია სამარაგო წყლის 4700 კუბური მეტრი ტევადობის 21 დიდი რეზერვუარი; გაწვდომის ყველა სისტემის ფარგლებში მოწყობილია 196 წყალსასმური პუნქტი, 196 მცირე (10 კუბური მეტრის ტევადობის თითო) წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი, პირუტყვის 196 წყალსასმური ნავით, შესაბამისი წყალსადენის მოწყობილობით. ამიტომ სამარაგო წყლისა და გამანაწილებელი წყალსაცავების საერთო ტევადობა რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრებზე 6660 კუბურ მეტრს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, საზამთრო საძოვრების გაწვდომის სისტემაში აიგო პირუტყვის გასაბანი 89 აბაზანა, 69 სათბობ-სადეზინფექციო მოწყობილობა, 28 სადარაჯო სახლი 10944 კუბური მეტრის საცხოვრებელი მოცულობით, 48 ცხენის 24 თავლა და ა.შ.

ამჟამად, აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი საზამთრო საძოვრების გაწვდომის სისტემა მიუვალობის გამო, გამოსულია მწყობრიდან. მეცხვარეობა დიდ ზარალს განიცდის. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, აგრარული რეფორმების გატარების პირობებში, დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ზამთრის საძოვრების გაწვდომის, ამ ძვირფასი წამოწყების, დროულად აღდგენა-ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა „მეცნიერება“ 1982.
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 42, გვ. 5. 2005.
3. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხები. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1991.
4. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 35, 2003.
5. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში თბილისი, 2002.

Kavtaradze Tengiz
Academic Doctor of Economics

**AGRARIAN REFORMS AND PERSPECTIVES OF SHEEP FARMING
DEVELOPMENT IN ALPINE LIVE-STOCK FARMING
IN WESTERN GEORGIA**

Summary

The article studies the issues of alpine live-stock farming development in the conditions of current agrarian reforms, there are also analyzed the functioning mechanism of current agrarian reform in mountainous landownership in Pshavi – Khevsureti; here are meant economic levels of mountaneous and plain regions; there are elaborated recommendations on the arrangement of family farms in mountaneous countrisudes.

ვასილ ხიზანიშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

ეკონომიკის ეთიკის შესახებ

ამერიკული ბიზნესეთიკის კვლევებში 80-იანი წლების დასაწყისში გერმანულენოვან სივრცეში ჩნდება ახალი მეცნიერული მიმართულება – ეკონომიკის ეთიკა, რომელიც არის სოციალურ-ეთიკური საკითხების ანალიზი ძირითად ეკონომიკურ პრობლემებზე და განისაზღვრება როგორც ეთიკურ ნორმათა მეცნიერული დაფუძნება და იმპლემენტაცია მწირ ეკონომიკურ პირობებში. ეკონომიკის ეთიკა ეკონომიკისა და ეთიკის კომბინაციაა³. მისი საგანია ეთიკური პრინციპების გამოყენება ეკონომიკურ ქმედებათა სფეროში,⁴ სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს ღირებულების, კონკრეტულად კი სახმარი ღირებულების შექმნას ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამგვარ სიტუაციაში ეკონომიკის ეთიკა ეძიებს ეკონომიკურ ქმედებათა თანამედროვე, დასაბუთებულ ფასეულობათა ორიენტირებს, იქნებოდა ეს პერსონალურ ცხოვრებაში ცალკეული ადამიანის, თუ ეკონომიკური და საზოგადოებრივი პოლიტიკისათვის საზოგადოდ.

ეკონომიკის ეთიკა არის გამოყენებითი ეთიკა. მისი ამოცანაა პირველ რიგში იმის გამორკვევა თუ როგორ უნდა დაექვემდებაროს მორალურ განსჯას როგორც ეკონომიკური აზრი და ქმედება, ისე ეკონომიკის ინსტიტუციონალური წესრიგი; მორალის იმ პრინციპებისა და ნორმების დადგენა და გამართლება, რომელთაც უნდა დაემორჩილოს ეკონომიკური ქმედებები და ეკონომიკური წესრიგი; და კიდევ საუბარია ქმედებათა პროცესში მორალურად რელევანტურ კონკრეტულ რჩევებზე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სიტუაციებში.⁵ ეკონომიკის ეთიკის ამოცანა ასევე არის არა მხოლოდ ზნეობრივი ქცევების იდეალურ წარმოდგენათა მიზნების აღწერა და დასაბუთება „უვნებელი მსოფლიოსათვის“, არამედ წინასწარ მითითება შესაძლო ბუნდოვან და პრობლემურ, მაგრამ უშუალოდ დაკვირვებად ნორმებზეც.⁶

ეკონომიკის ეთიკა, როგორც ფილოსოფიის ეთიკის, ისე ეკონომიკურ მეცნიერებათა ნაწილი, დაკავებულია შემდეგი საკითხებით: რამდენად მჭიდროა ეთიკასა და ეკონომიკას და შესაბამისად ეთიკურ-პრაქტიკულ გონებასა და ეკონომიკურ რაციონალურობას შორის კავშირი დღეს?⁷

მიმდინარე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კატაკლიზმების ფონზე, რომელიც ეკონომიკური ეგოიზმისა და მორალური ფასეულობების გაუთვალისწინებლობის შედეგია, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეკონომიკისა და ეთიკის ურთიერთდამოკიდებულების ასპექტი. ცალსახად მისაღებია ის თეზა,

³ On the economic life of the moral dimension - from the traditional view of economic ethics of justice and interests., <http://eng.hi138.com/?160542>.

⁴ Karl Homann., Wirtschaftsethik. In: Lexikon der Wirtschaftsethik, hrg. v. Georger Enderle/Karl Homann/Martin Haneker/Walter Kerber/Horst Steinmann. Herder, Freiburg/Basel/Wien, 1993 S. 1287

⁵ Hans G. Nutzinger (Hrsg.), Wortschaft und Ethik., Wiesbaden, 1991, S. 21.

⁶ Reis, N.: Die Kirche und ihre Sozialverkündigung. In: Branahl, M., Reis, N.: Kirche und Wirtschaft. Beitrage zur Ausgestaltung der Gesellschaft., Köln, 1991, S. 243

⁷ Moralität und ökonomische Rationalität – Integrative Wirtschaftsethik als Vernunftethik des Wirtschaftens, <http://www.grin.com/e-book/66951/moralitaetund> - oekonomische - rationalitaet-integr...

რომ ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ეთიკური ნორმებისა და პრინციპების გამოყენების აუცილებლობა ეკონომიკურ მოქმედებათა სფეროში ანუ ის სოციალური ღირებულებები, რომლებიც ეფუძნებიან საყოველთაოდ მიღებულ კაცობრიობის ცენტრალურ ფასეულობებს: ჰუმანურობას, სოლიდარობას და პასუხისმგებლობას⁸.

დღეს ეთიკა და ეკონომიკა ერთი შეხედვით იმყოფებიან უმნიშვნელოდ დაბაბულ ურთიერთდამოკიდებულებაში. სინამდვილეში მათ შორის არსებობს სერიოზული ღრმა უფსკრული, რომელსაც დიდი ხნით ადრე დაწვებული ეთიკური ეროზია გაანჩია და საბაზრო ეკონომიკის სწორედ ეს ეთიკური ეროზია იწვევს ეკონომიკის ცენტრალიზაციას, კულტურისა და მატერიალური ფასეულობების წმინდა კომერციალიზაციას, ადამიანური ფაქტორის გავლენის შემცირებას წარმოების საქმიანობაში, მტაცებლურ ექსპლოატაციას ბუნებრივ გარემოზე და ა.შ.⁹

გადაგხედავთ რა წარსულს, აღმოვაჩნეთ, რომ ეთიკას (მოძღვრება ადამიანის ქცევათა ნორმების შესახებ) და ეკონომიკას (შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გამოყენების თეორია) შორის დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა იდეათა აქტიური გაცვლა-გამოცვლა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მეცნიერება ეხება ადამიანთა ქმედებებს და წარმოადგენს ადამიანურ ქმედებათა თეორიას.¹⁰

გაცილებით გლობალური ხასიათისაა ეთიკურად ორიენტირებული ეკონომიკის მოთხოვნები და დიმენსიები, რადგან დღეს ჩვენ მეტად და მეტად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი „industrial war of life“ დაკავშირებულია ბუნებრივი გარემოს პროგრესირებად განადგურებასთან. ამიტომ შეძლებისდაგვარად საჭიროა ფიქრი და განსჯა ეთიკური პერსპექტივის თვლასაზრისით. კიდევ იმიტომ, რომ სახეზეა მწვავე სოციალური საკითხი, დაკავშირებული ქრონიკულ მასობრივ უმუშევრობასა და შესაბამისად ჩვენი საზოგადოების სიღარიბის შემდგომ გაგრძელებასთან. სოციალური დეზინტეგრაცია, საღი აზრისა და სოლიდარობის არარსებობა, როგორც თითქმის უსაზღვრო ინდივიდუალიზმის ან ჯგუფური ეგოიზმის ჩრდილოვანი მხარეები, ხშირად აჩენენ ახალი მჭიდრო სოციალური კავშირების საჭიროებას საზოგადოებაში. პოლიტიკური ჩავარდნები, კორუფციული აფიორები და „ამიგოეკონომიკა“ ასახავს „ორგანიზებული უპასუხისმგებლობის“ პრობლემებს, რომლებიც ეკოლოგიური, სოციალური, რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური კრიზისის სიმპტომებთან ერთად ქმნის არსებული მდგომარეობიდან გამოუვალობისა და პერსპექტივის უქონლობის სურათს.¹¹

ამ ფონზე შესაძლებელია ფილოსოფოს მანფრედ რიდრელის სიტყვების ციტირება – „ეთიკა როგორც კრიზისის რეფლექსია“¹² და რომელიც კავშირშია ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა არსებით დიმენსიასთან: მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი გარემოს მოფრთხილებასთან, თანამედროვეთათვის ღირსეული საყოფაცხოვრებო შესაძლებლობების ფორმირებასთან, სამართლიანი და მშვიდობიანი ინტერნაციონალური მსოფლიოს შექმნასთან, ერთის მხრივ ბაზრების გლობალიზაციასა და „ტრანსფორმაციული ეკონომიკებისათვის“

⁸ იხ. წყარო ორი გვ. 1287

⁹ Kruber, K.-P. „Der „systematische Ort“ für die Ethik in der Marktwirtschaft – ein Problem für die ökonomische Bildun., Bergisch – Gladbach, 1996, გვ. 39

¹⁰ Wirtschaftsethik – Wikipedia., de. wikipedia. org/wiki/Wirtschaftsethik

¹¹ Ulrich, P., Maak, T., Ethik in Wirtschaft und Gesellschaft – Eine systematische Einführung für Lehrkräfte., Aarau , 1996, გვ. 9

¹² Riedel, M. Norm und Werturteil., Stuttgart, 1979 გვ. 8

თანმდეგ რყევებთან და მეორეს მხრივ ე.წ. „მესამე სამყაროსთან“¹³ მაშასადამე, ეთიკით დეტერმინირებული ეკონომიკური მოდელი წარმოადგენს კაცობრიობის ეპოქალურ მოთხოვნასა და საჭიროებას, რაც გულისხმობს რაციონალურ, მეცნიერულ ბაზისზე დაფუძნებული ეკონომიკის ზნეობრივ ფასეულობებზე ორიენტირებას.

მრავალი ეთიკურ-ეკონომიკური პოზიცია დამოკიდებულია ეთიკასა და ეკონომიკას შორის არსებულ ურთიერთობათა მდგომარეობაზე. ეკონომიკის დიდაქტიკოსი პროფ. ბოდო შტაიმანი შეეცადა მათ შორის დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინა მოკლე თეზისების სახით: ეკონომიკა – რაციონალურობა; ფასეულობათა თავისუფლება; ობიექტურობა; მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა. ეთიკა – არა რაციონალურობა, არამედ ზეეკონომიკური მორალი; არა ფასეულობათა თავისუფლება, არამედ ფასეულობათა სიმტკიცე; და არა მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა, არამედ ადამიანთა სამართლიანობა და ჰუმანურობა¹⁴.

როგორ არიან დაკავშირებული მორალურობა და რაციონალურობა? რაციონალურია თუ არა ყოველთვის მორალური? შეიძლება თუ არა ეკონომიკური რაციონალურობის კონცეფციის იმგვარი განვითარება, რომ შენარჩუნდეს დისტინქცია მორალურ ქმედებასა და მაქსიმალურ სარგებლიანობას შორის? ეკონომიკასა და ეთიკას შორის არსებული დამოკიდებულების მართებულად გააზრებისათვის საჭიროა ამ უმთავრესი ფილოსოფიური საკითხების სიღრმისეული წვდომა და ანალიზი.¹⁵

ეკონომიკური რაციონალურობისა და ეთიკურ-პრაქტიკული გონების ურთიერთობის პრობლემას უკავშირდება რაციონალობის პრინციპისა და მორალის ასპექტები. რაციონალობის პრინციპი წარმოადგენს ეკონომიკის ქცევათა წანამძღვარს რაციონალური ქცევისა და ინდივიდუალურ ინტერესთა მაქსიმიზაციის homo oeconomicus-ის მოდელში¹⁶. რაციონალურობის პრინციპის შინაარსი ეკონომიკასთან მიმართებაში შესაძლებელია შემდეგნაირად იქნეს ფორმულირებული: ინდივიდები იძულებით უკიდურესად ზრდიან შესაძლო სარგებლის ოდენობას და ამ სახით რეაგირებენ მოსალოდნელ რესტრიქციებზე, რომლებიც მათ თავისუფალ მოქმედებებს ზღუდავს. მაშასადამე, მაქსიმიზაციის რაციონალიზმი მდგომარეობს ინდივიდთათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაში. ამგვარად, ეკონომიკაში რაციონალური ქცევა სარგებლის მაქსიმიზაციის იდენტური ცნებაა.¹⁷ რაც შეეხება მორალს, ის ნორმათა (წესების), მაქსიმებისა და პრინციპების კომპლექსია, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ან უნდა იხელმძღვანელონ აქტიორებმა. იგი გულისხმობს შესაძლო ქმედებათა ნორმების (სტანდარტების) შესრულებას. ყველა ინდივიდისათვის მორალი აღნიშნავს არა რეგლამენტირებას, მსხვერპლს ან უარის თქმას, არამედ მოქმედებათა შესაძლებლობების გაფართოებას, გაზრდილ უსაფრთხოებას, ჰუმანურობის გარანტიას, თავისუფლებისა და ბიოლოგიური გადარჩენის შანსების მატებას.

რაციონალურობისა და მორალის საკითხებთან მიმართებაში წინა პლანზე იწვევს რაციონალური არჩევანის თეორია (Theory of rational choice), რომელიც

¹³ Prof. Dr. habil. Bernd O. Weitz, Ethik und Wirtschaft?! - Ein Beitrag aus wirtschaftsdidaktischer Sicht-, Köln, Beitrag №1, 2005, გვ. 17

¹⁴ Deutsche Gesellschaft für Ökonomische Bildung - Tagungsband., Bergisch Gladbach, Bodo Steinmann: Ethische Orientierung in der Ökonomie., გვ. 22.

¹⁵ Daniel M. Hausman and Michael S. Mcpherson, Economic analysis and moral philosophy, Cambridge University Press, 1996, გვ. 25-26

¹⁶ Ökonomische Rationalität: Grundfrage eine interdisziplinären Wirtschaftsethik? Von Elke Mack., Berlin, 1994, გვ. 31

¹⁷ იქვე გვ. 34

ქმედებათა ორი პოლუსის შეპირისპირებაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მომენტს. რატომ შესაძლებელია ინტერპრეტირდეს ფართო კონტექსტით. ის განიმარტება გადაწყვეტილების მიღების იმგვარ თეორიად, რომელშიც რაციონალურად მიიჩნევა მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების ალტერნატივებს შორის უპირატესი არჩევანი.¹⁸

რაციონალური არჩევანის მოდელი არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ ეთიკაზეც. რატომ-ის თავისებურ გამოყენებად მორალის ნორმებთან მიმართებაში გახდა ჯ. როულსის „სამართლიანობის თეორია“¹⁹, რომელიც ადგენს ქმედებათა ორიენტაციას – „სამართლიანობა“ უტილიტარული „სარგებლის“ ნაცვლად. სამართლიანობის ცნება იმ აზრით, რომელსაც მას როულსი ანიჭებს, ზემოთ აღნიშნული თეორიის ცენტრში იძლევა სუბიექტის მოქმედებათა განსაზღვრელი „პატიოსანი თამაშის“ წესების დადგენის შესაძლებლობას.

რაციონალური არჩევანის თეორიის ძირითადი სირთულე მდგომარეობს იმ მიზანმიმართული მოქმედების ახსნაში, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური სინთეზის ანუ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ქმედებათა გაცნობიერებულ პასუხისმგებლობასა და სოციო-ეკონომიკურ წესრიგს შორის კონვენგენციის შეუძლებლობასთან.²⁰

ასე თუ ისე, რატომ იძულებულია გამოვიდეს ან ინდივიდის საკუთარი „სიამოვნების“ მაქსიმიზირების კონცეფციიდან და ახსნას „უხილავი ხელით“ სოციალური წესრიგის ფორმირების მექანიზმი, ან თავის საფუძვლად მიიღოს სოციალური ნორმები და ინსტიტუტები იმ წანამდღვრით, რომ დადგენილი წესის ფარგლებიდან გამოსული ნებისმიერი ქმედება არის არარაციონალური.²¹

რობერტ რაისის მიხედვით, ეკონომიკის ეთიკის, როგორც მეცნიერების, უმთავრეს თემას თავად ეკონომიკური აზრი წარმოადგენს. „ეკონომიკური რაციონალურობის იქით არ არსებობს არავითარი გონისმიერი ეკონომიკის ეთიკა და ეკონომიკური რაციონალურობა – პრაქტიკული ეთიკური გონების მიღმა“²².

მაშასადამე, ეკონომიკის ეთიკის გააზრება ორგვარია. პირველი – ეკონომიკის ეთიკა გაგებულნი როგორც „ბიზნესეთიკა“, წარმოადგენს ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ქმედებათა მორალურ სფეროს, სადაც მორალური ვალდებულებები ადგენენ აქტიორთა ზნეობრივად დასაშვებ ქმედებათა ზღვარს. ეორე – ეკონომიკის ეთიკა არის „სოციალური ეთიკის“ სივრცის ნაწილი, რომლის ამოცანას ჰუმანური თვალსაზრისით სასურველი ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური მოდელის მონახაზი წარმოადგენს. ეკონომიკის ეთიკას ძალუძს ორივე ამ მხარესთან მიმართებაში წამოჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების რომელი ზნეობრივი ვალდებულებებია შესაფერისი იმისათვის რათა ეკონომიკის სასურველი მდგომარეობა იქნას უზრუნველყოფილი და მიღწეული. აქ პრობლემაა არა ცნობილი და აღიარებული, დასაშვები ზნეობრივი ნორმების „შიშველი“ გამოყენება კონკრეტულ გარემოებებში, და ასევე არა მხოლოდ სახელმწიფო მოქმედებათათვის საჭირო საორიენტაციო მასშტაბების დადგენა, არამედ საერთო ეკონომიკური კეთილდღეობისათვის სასურველი მდგომარეობიდან ცალკეულ ქმედებათა ზნეობრივი ნორმირება.²³

¹⁸ Gaefgen G. Theorie der wistschaftlichen Entscheidung, Tübingen, 1975., გვ. 42.

¹⁹ Rawls J. Theory of justice. Cambridge: Cambridge University Press, 1971

²⁰ Ulrich, P. Integrative Wirtschaftsethik, 2. Auflage, Verlag Haupt, 1998, გვ. 285

²¹ Швери Р., Теория Рационального Выбора: Аналитический Обзор, www. socjournal.ru/article/149

²² იბ. წყარო 4 გვ. 23

²³ Wirtschaftswissenschaft und Ethik: Herausgegeben von Helmut Hesse., Berlin, 1988, გვ. 241-242.

Khizanishvili Vasil
Doctoral Student at
Telavi State University, Assistant Professor

ABOUT ETHICS OF ECONOMICS

Summary

On the trace of American business ethics, at the beginning of 80-ies, a new scientific direction appears in German-language area – ethics of economics. Ethics of economics as a part of ethics of philosophy, as a part of economic sciences, covers the following issues: how much is connection between ethics and economics and accordingly between ethic-practical mind and economic rationality are close today?

Current world financial – economic crisis reveals necessity of usage of ethic norms and principles in the sphere of economic actions. Complicacy existed in the process is aspect of moral and economic rationality dependence, and solution of ethics and economy convergence issue is greatly depended on its positive decision.

გიორგი ყუფარაძე

*სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, ეკონომიკის ბაკალავრი
თსუ-ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი*

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის მოდელი უცხოური
ინვესტიციებისათვის**

მსოფლიო ეკონომიკურ ზრდაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასრულებენ მნიშვნელოვან, აქტიურ როლს. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვა არაერთი მთავრობის ძირითადი საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტია. აღნიშნული ტენდენცია თანაბრად ეხება როგორც მაღალ განვითარებულ ქვეყნებს, ასევე ნაკლებად განვითარებულსაც. ამ უკანასკნელთათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყაროა²⁴, ხოლო განვითარებული ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემის როლს ასრულებს; ცხადია, იმ დაშვებით რომ მოგების ნორმა მსგავსი დარგების შემთხვევაში განსხვავდება ქვეყნებს შორის.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ბევრი სახელმწიფო დაადგა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლიბერალიზაციის გზას, შემოღებულ იქნა მასტიმულირებელი ღონისძიებები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოსაზიდად. ამასთან, ტრადიციულ ფაქტორებთან შედარებით, წინა პლანზე წამოიწია ინსტიტუციური ფაქტორების როლი. ამ ფაქტორთა რიგში მნიშვნელოვანი წონა საგადასახადო საკითხებზე მოდის.

ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრისათვის საჭიროა შეფასდეს გადასახადების გავლენა უცხოურ ინვესტიციებზე; ამასთან, არსებითია მათ შორის არსებული კავშირების თეორიულ დონეზე აყვანა. გამოძლინარე იქიდან, რომ ქვეყნების საგადასახადო კოდექსები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, ქვემოთ განხილული მოდელი ითვალისწინებს გარკვეულ დაშვებებს, მაგრამ იგი გვთავაზობს სასარგებლო ანალიზის ტექნიკას ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განმარტავენ, როგორც რეზიდენტი ერთეულის მიერ განხორციელებულ საზღვარგარეთულ ინვესტიციას ქვეყნის ეკონომიკაში, რომელსაც გააჩნია გრძელვადიანი ინტერესები. გრძელვადიანი ინტერესები გულისხმობს ხანგრძლივ ურთიერთობას პირდაპირ ინვესტორსა და უცხოურ რეციპიენტს შორის, პირველის მნიშვნელოვანი გავლენით მეორის მენეჯმენტზე. სტატისტიკური მიზნებისათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად 10 %-იანი წილის მფლობელობა ითვლება²⁵.

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდელი, რომელიც აღწერს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე საგადასახადო პოლიტიკის გავლენას, არის საერთაშორისო ორგანიზაციის-ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელი²⁶.

²⁴ Dyker, D (1999), "Foreign Direct Investment and Technology Transfer in the Former Soviet Union", published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 1999, p. 9

²⁵ OECD-Detailed Benchmark Definition of Foreign Direct Investment (Paris OECD 1996) Third edition.

IMF- Balance of Payment Manual (Washington IMF 1993) fifth edition.

²⁶ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია-OECD; "TAX Effects on Foreign Direct Investment" Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34

OECD-ის (2005წ.) საგადასახადო პოლიტიკის მოდელი ინვესტიციებისათვის მოიცავს პოლიტიკის რამოდენიმე მიმართულებას. ეს მოდელი განკუთვნილია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისა და ინსტიტუტების როლის განსაზღვრისათვის ინვესტირების პროცესებში.

მოდელი ეყრდნობა ფაქტორებს, რაც გამოვლენილ იქნა ინვესტორების გამოკითხვების შედეგად. იგი ძირითადად გამიზნულია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, თუმცა მისი ზოგიერთი დებულება შეიძლება უფრო ფართო გამოყენების იყოს²⁷.

ჩვეულებრივ, საგადასახადო სფეროში გატარებული პოლიტიკის მთავარი მიზანია ინვესტიციების წახალისება, როგორც უცხოურის, ასევე, ადგილობრივის. ალბათ, ყველაზე მეტად ცხადია ის, რომ მაღალი საგადასახადო ტვირთი არის უარყოფითი ფაქტორი ქვეყანაში ინვესტირებისათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა: 1. თუ რა პირობებში და რა გზებითაა შესაძლებელი მაღალმა საგადასახადო განაკვეთებმა (დასაბუთებულმა) არ იქონიოს უარყოფითი გავლენა ინვესტიციებზე; 2. რა შემთხვევაში ახდენს დაბალი განაკვეთები მასტიმულირებელ ზეგავლენას უცხოურ ინვესტიციებზე. იმ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც განაპირობებენ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებას ქვეყანაში, შეიძლება განისაზღვროს ოპტიმალური პოლიტიკა, რაც შექმნის უცხოურ ინვესტიციათა ზრდისათვის ხელსაყრელ გარემოს.

1.ბაზრის პირობებისა და ინფრასტრუქტურის, ბიზნეს გარემოს შეფასება

საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის მიერ ინვესტორთათვის შეთავაზებული რისკი, უკუგების შესაძლებლობათა ანალიზი-საბაზრო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. საბაზრო შესაძლებლობებისა და მდებარეობის ფაქტორებით განპირობებული შესაძლო მოგება თავდაპირველ ეტაპზე განხილულ უნდა იქნეს საგადასახადო საკითხებისაგან დამოუკიდებლად. შემდეგ ეტაპზე უნდა მოხდეს საგადასახადო კანონმდებლობის ეფექტიანობის შეფასება; აქ მნიშვნელოვანია გადასახადის დეკლარირების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობასთან, სისრულესა და სტაბილურობასთან.

ა) ბიზნეს ინფრასტრუქტურის პირობები:

• პოტენციური ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია დანახარჯები და არადივერსიფიცირებადი რისკები, რაც დაკავშირებულია კაპიტალისა და მოგების ხელმისაწვდომობასთან, მაკროეკონომიკური პირობების ცვალებადობასა და რეგულირების პრაქტიკასთან:

• რამდენად სტაბილურია პოლიტიკური სისტემა? რამდენად მდგრადი და ხელმისაწვდომია საკუთრების დაცვის კანონიერი სისტემა-უცხოური ინვესტორის შემთხვევაში კაპიტალისა და მოგების გატანა? არსებობს თუ არა კაპიტალის კონტროლი?

• რამდენად სტაბილურია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა და რა ოდენობის სამთავრობო ვალია დაგროვილი? რა არის სამომავლო პროგნოზები ინფლაციის, განაკვეთების და გაცვლითი კურსების შესახებ?

²⁷ ზოგადად, სრული ანალიზისათვის საჭიროა არამარტო FDI-სა და გადასახადების ურთიერთგავლენის შეფასება, არამედ ზოგადი წონასწორობის ანალიზი, რაც მიღებულ უნდა იქნას ნაწილობრივი (დარგობრივი) წონასწორობის ანალიზიდან. ქვემოთ განხილული მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ გადასახადებსა და FDI-ს შორის დამყარებულ ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზს.

• რომელ სფეროებშია სამთავრობო ადმინისტრირება სუსტი და არსებობს კორუფციის პრობლემა?

ბ) ბაზრის მახასიათებლები

ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია გამოშვებისა და ფაქტორთა მოთხოვნა-მიწოდების საკითხები:

• როგორია შიდა ბაზრის სიდიდე? რამდენად დიდია სამომხმარებლო ბაზარი (საოჯახო მეურნეობების ოდენობა, ერთ სულზე შემოსავლების ოდენობა, რა ზომისა და სიდიდისაა მწარმოებლების ბაზარი (ფირმათა ოდენობა, აქტივების კაპიტალიზაცია, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები), რა ზომისაა და არის თუ არა ხელმისაწვდომი სხვა მეზობელი ქვეყნების ბაზრები?

• რა ხარისხის შრომითი რესურსებია ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში ხელმისაწვდომი; დასაქმების უზრუნველყოფის რა ფორმები (მაგ; სოციალური უზრუნველყოფა) გამოიყენება მთავრობის მიერ? რა ენერჯის წყაროები და სანედლეულო მასალა მოიპოვება ქვეყანაში, არის თუ არა შრომის ხელფასის (ხელფასის პლიუს სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანები) ენერჯის დანახარჯები, ნედლეულის ხარჯები მაღალი/დაბალი სხეებთან შედარებით?

• როგორია ინვესტიციების მიმღები ქვეყნების ინფრასტრუქტურა-სატრანსპორტო მომსახურება (აეროპორტები, საზღვაო პორტები, სარკინიგზო, ტრანსპორტი, გზები ტელეკომუნიკაციები(ტელეფონი/ფაქსი/ინტერნეტ მომსახურება), ბიზნესისათვის სხვა მნიშვნელოვანი მომსახურება არის მაღალი ან დაბალი ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე სხეებთან შედარებით, კონკურენტულ ტერიტორიებთან შედარებით?

გ) მდებარეობასთან დაკავშირებული ფაქტორები

რისკის უკუგების შეფასებისას ინვესტორი მასპინძელ ქვეყანაში ჩვეულებრივ აფასებს ბიზნეს გარემოს, ბაზრის მახასიათებლებს (ქვეყნის ან რეგიონის). ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ინვესტიციებზე საგადასახადო ტვირთის დაკისრებისას უნდა შეფასდეს ის, თუ რამდენად მიმზიდველია ქვეყნის საინვესტიციო გარემო რისკი/უკუგების შესაძლებლობების კუთხით; ბიზნეს გარემოს მხედველობაში მიღებით (მაგ პოლიტიკური, მონეტარული, ფისკალური სტაბილურობა; კანონის უზენაესობა; სახელმწიფო მმართველობა); ბაზრის მახასიათებლები (ბაზრის ზომა, შესაძლო შრომის დანახარჯები, ენერჯის წყაროები, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და მდებარეობასთან დაკავშირებული პოტენციური მოგება.

მდებარეობის არჩევისას მთავარი საკითხია თანაფარდობა განლაგებასთან დაკავშირებულ მოგებასა და რისკს შორის; ცალკეული ინვესტიცია შეიძლება იყოს განლაგებასთან დაკავშირებული (ე.ი საჭიროებდეს წარმოების ფიზიკურ არსებობას ამა თუ იმ ადგილზე). ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული მოგება, ხელმისაწვდომ ფაქტორთა დანახარჯები (მაგ. შრომა, მასალები, ენერჯია) და სხვა. არის თუ არა გამოშვებისათვის ხარჯები უფრო მაღალი სხვა განლაგებისთვის? პრივატიზაციის შემთხვევაში მოგება დაკავშირებულია როგორც დროსთან, ასევე ადგილმდებარეობასთან. მაგალითად, ბუნებრივი რესურსების მოპოვება, სარესტორნე, სასტუმროების ბიზნესი. ასეთ შემთხვევებში, თუ პროგნოზირებული, რისკთან შეწონილი მოგება აკმაყოფილებს აუცილებელ „ზღვრულ უკუგებას“, რაც ინვესტიციისაგან არის მოსალოდნელი, ინვესტორი მიიღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორციელების შესახებ.

იქ, სადაც მოგების დონე დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის პირობებზე, მაშინ გადასახადის ფაქტორი ასეთი შემთხვევებისათვის არ არის რელევანტური. ძირითადად, საგადასახადო ტვირთი მდებარეობასთან დაკავშირებულ მოგებასთან შეიძლება გაიზარდოს იმ ზღვრამდე, რაც ინვესტიციას არამომგებიანს გახდის. ასე რომ, იქ, სადაც ეკონომიკა ინვესტორს სთავაზობს ამ

ქვეყნასთან სპეციფიკურად დაკავშირებულ მოგებას, საგადასახადო ტვირთი შეიძლება გაიზარდოს, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო შემოსავლების დაკარგვა. ჩვეულებრივ, განაკვეთები უნდა შემცირდეს კონკურენტი ქვეყნების განაკვეთების გათვალისწინებით- ელასტიური მიწოდების ინვესტიციების მოზიდვისათვის. გარკვეულ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმით, რომელსაც არა აქვს გავლენა არაელასტიურ საინვესტიციო მოთხოვნაზე.

საპირისპიროდ არის მაგალითები, როცა ფაქტორთა გამოყენების ხარჯები თითქმის იგივეა გეოგრაფიულად გასხვავებულ ტერიტორიებზე განლაგებულ ქვეყნებში, ე.ი. მოგება არ არის დაკავშირებული მდებარეობასთან. მაგალითი: ფინანსური მომსახურება და ცალკეული სათავო ოფისის ფუნქციები. ამგვარი ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც არ არიან კაპიტალ-ინტენსიური, მოითხოვს წინასწარ შეფასებებს, ინფრასტრუქტურის დამაკმაყოფილებელ პირობებს; მაგრამ აგრეთვე ადგილობრივი ბაზრების მახასიათებლებიც მნიშვნელოვანია. სხვა მაგალითებია—კომპიუტერული ჩიპების წარმოება, სადაც წარმოების ხარჯები შეიძლება იყოს მაღალი, ალტერნატიული ქვეყნის შემთხვევაში და გლობალურ ბაზრებზე პროდუქციის განთავსებას აქვს ნაკლები დანახარჯები. ასეთ შემთხვევებში კანდიდატი მასპინძელი ქვეყნები ვერ შეძლებენ დააწესონ მაღალი საგადასახადო ტვირთი, როდესაც სხვა კონკურენტ ქვეყნებს აქვთ დაბალგანაკვეთებიანი გარემო.

ამ უკიდურეს მაგალითებს შორის არის ინვესტიციები, სადაც მოგება არის მდებარეობასთან დაკავშირებული, მაგრამ არა ერთ ქვეყნასთან მიმართებაში (მაგ., სასურველი უკუგების ნორმა შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე მეზობელ ტერიტორიაზე და ვაჭრობის დანახარჯები ასეთ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი). მდებარეობა, რომელიც სთავაზობს შედარებით მიმზიდველ მასპინძელი ქვეყნის უპირატესობებს – დაბალი წარმოებისა და განთავსების დანახარჯების კუთხით, ან მოგებაზე გადასახადებით – განიხილება როგორც უფრო წარმატებული FDI-ის მოზიდვისათვის. შედარებით დაბალი წარმოების ხარჯები შეიძლება განპირობებულ იყოს კვალიფიციური სამუშაო ძალის ფართო ხელმისაწვდომობით, ხოლო შედარებით დაბალი პროდუქციის ბაზარზე განთავსების დანახარჯები - დიდი საშინაო ბაზრებით, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით. როდესაც შეფარდებითი უპირატესობები არის მნიშვნელოვანი, ისინი ჩვეულებრივ განაპირობებენ მდებარეობასთან დაკავშირებული მოგების წარმოქმნას, რომელიც შეიძლება დაიბეგროს ინვესტიციებზე უარყოფითი ზიანის მოტანის გარეშე.

როგორც აღინიშნა, ამ მოდელში მასპინძელი ქვეყნის მიმზიდველობა ინვესტირების მხრივ დამოკიდებულია რეციპიენტი ქვეყნის გარემოსა და ბაზრის მახასიათებლებზე, რომელიც დამოკიდებულია ახლანდელ და წარსულ საზოგადოებრივ დანახარჯებზე ისეთი მიმართულებით, როგორცაა განათლება, ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს კავშირი განაპირობებს განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადების აკრეფას ეკონომიკური რენტის სახით, რათა დაფინანსებულ იქნეს საზოგადოებრივი დანახარჯები, რაც საბოლოოდ გააძლიერებს რეციპიენტი ქვეყნების ფუნდამენტებს, მიიზღოს FDI.

ეს ზოგადი მიდგომები სასარგებლოა ქვეყნის მიერ ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას. მაგრამ მარტივი პროგნოზირების დროს პასუხგაუცემელი რჩება კითხვები—თუ როგორი გავლენა აქვს ბაზრის სხვადასხვა პირობებს მოგებაზე, როგორ შეფასდეს ეს გავლენა? როდესაც ინვესტიციების ერთი გადაგებისას არის უფრო ხელსაყრელი პირობები, ვიდრე მეორეგან, როგორ მოხდეს შესაფერი საგადასახადო ტვირთით ამ განსხვავების კომპენსირება? თუ ქვეყანა დაბლა დასწევს საგადასახადო განაკვეთებს, რა ოდენობით კაპიტალის გადაადგილებას უნდა ველოდოთ, რა განაკვეთებით და

რა ოდენობით და რომელ სექტორებში? აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც მრავალეროვნული საწარმოები იყენებენ საგადასახადო თავშესაფარს, ფინანსურ/პოლდინგურ კომპანიებს, რაც აბათილებს წყარო ქვეყნის გადასახადების გავლენას გამავალ FDI-ზე. ასე რომ, მხოლოდ რეციპიენტი ქვეყნების დაბეგვრას აქვს გავლენა. განსაკუთრებით, თუ დონორ ქვეყანაში ფუნქციონირებს დივიდენდის გათავისუფლება ან დივიდენდის ჩათვისის სისტემა. პასუხებს ამ კითხვაზე იძლევა მოდელის მეორე ძირითადი ფაქტორი – საგადასახადო ტვირთი.

2. საგადასახადო ტვირთის შეფასება

FDI-სთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას საჭიროა შეფასდეს საგადასახადო ტვირთის გავლენა მოგებაზე რაოდენობრივი მეთოდების და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოყენებით. ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობა და ბიზნესის საგადასახადო დაგეგმვის თავისებურებები (მაგ: თხელი კაპიტალიზაცია, არამართებულად შეფასებული ტრანზაქციების ფასები), რათა შეამცირონ რეციპიენტი ქვეყნის საგადასახადო ტვირთი; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს: საგადასახადო სისტემის სისრულე, გამჭვირვალობა და პროგნოზირებადობა.

ა) ეფექტური საგადასახადო ტვირთი კანონმდებლობის მიხედვით

რაოდენობრივი კუთხით გადასახადების გავლენა ინვესტიციებზე ფასდება ზღვრული კორპორაციული საგადასახადო განაკვეთით METR და საშუალო კორპორაციული ეფექტური საგადასახადო განაკვეთით AETR. ეს მაჩვენებლები გამოიყენება ეფექტური საგადასახადო განაკვეთების შესაფასებლად – კაპიტალური აქტივებისა (მანქანთმშენებლობა და სატრასპორტო საშუალებები, მშენებლობა, საბრუნავი ფონდი, არამატრელები აქტივები, ფინანსების (ვალი გამოშუშავებული უკუგება, ახალი აქტივები)) და ინვესტორის სახეების (რეზიდენტი, არარეზიდენტი) მიხედვით.

მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების გამოყენების ნაცვლად კორპორაციული ზღვრული და საშუალო ეფექტური განაკვეთების გამოთვლა შესაძლებელია თვით საკანონმდებლო მუხლების განაკვეთების მიხედვით. მაგრამ ამგვარი გათვლების შედეგად ვერ განესაზღვრავთ ქვეყნის საგადასახადო წნეხს. მაგ: გამორიცხული იქნება იმ მუხლების გავლენა, რაც არეგულირებს ბიზნეს ზარალის გადატანას.

ასევე, შესაძლებელია ამ მაჩვენებლის გამოთვლა საგადასახადო ორგანოების ინფორმაციის გამოყენებით; მაგ. გადასახადის სუბიექტების ფინანსური ანგარიშგება, საგადასახადო შემოსავლები. ამ შემთხვევაში შერჩეულ უნდა იქნეს კორპორაციების პრეზენტატიული ოდენობა და შეგროვდეს მონაცემები დასაბეგრი მოგების, დაუბეგრავი მოგების, ეკონომიკის სექტორების და რეგიონების მიხედვით. მიკრო მონაცემებზე დაფუძნებული კვლევა უზრუნველყოფს ოპტიმალურ ბაზას საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის სექტორებისა და დროის მიხედვით.

ბ) ადმინისტრირების ხარჯების ტვირთი

საგადასახადო ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია გადასახადების ადმინისტრირების ხარჯები. ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება მხოლოდ პირდაპირი საგადასახადო ეფექტებით, ე.ი ის, რაც ასახულია კანონმდებლობაში. მაგრამ უმჯობესია ფაქტორთა რიგში ჩავრთოთ ადმინისტრირების ხარჯებიც.

საგადასახადო სისტემის სირთულეს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებაზე. ამ ხარჯების განხილვისას მნიშვნელოვანია დადგინდეს სირთულის წყაროები დაკავშირებული – საგადასახადო პოლიტიკასთან, მექანიზმთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული;

მათი ანალიზის შემდეგ უნდა მოხდეს შეფასება, რამდენად შესაძლებელია ამგვარი სირთულეების აცილება სხვა, კონკურენტ ქვეყნებში.

განხილვის არც ასევე, ამორტიზაციის სისტემა. გამოიყენება თუ არა დაჩქარებული ამორტიზაცია საგადასახადო კოდექსის მიხედვით? შეესაბამება თუ არა საგადასახადო მიზნები საერთაშორისო ნორმებს? თუ ბიზნესის მხრიდან იგი ხასიათდება, როგორც რთული, საჭიროა სერიოზული მსჯელობა მის გამარტივებაზე. ამასთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკის საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება ამორტიზაციის განაკვეთები ეკონომიკურ პროცესებს და ითვალისწინებს ინფლაციას.

ადმინისტრირების ხარჯების მნიშვნელოვანი ასპექტია გამჭვირვალობა.

ამ საკითხის განხილვისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით მარტივი სისტემაც კი შეიძლება განიცდიდეს გამჭვირვალობის ნაკლებობას; მაგალითად, როცა საგადასახადო მუხლები და ტერმინები გაუგებარია, საგადასახადო შემოსავლების შესახებ ინფორმაცია რთული მისაღებია და გადასახადის გადამხდელის ადმინისტრაციული მხარდაჭერა სუსტია. რაც შეეხება სირთულეს, გამჭვირვალობის ნაკლებობას აქვს მნიშვნელოვანი წვლილი საინვესტიციო პროექტების ხარჯებზე; ეს ასევე, დაკავშირებულია სამართლიანობის საკითხთან, რამაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი, რომ საგადასახადო სისტემა გამიზნულია ცალკეული ფენის ინტერესების დასაცავად, იმათი ჩათვლით, ვინც იღებს მაღალ შემოსავლებს, ხელი მიუწვდება პროფესიონალურ საგადასახადო კონსულტაციაზე და შესაძლებელია სარგებლობდნენ სპეციალური საგადასახადო მიდგომით. საგადასახადო სისტემის უსამართლობის განცდა ბიზნესს უბიძგებს გადავიდეს „ჩრდილოვან ეკონომიკაში“, შეამციროს საგადასახადო შემოსავლები და საერთოდ შეასუსტოს მთავრობის საქმიანობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საგადასახადო კოდექსის მუხლების სიცხადე და სიმარტივე. გადასახადის გადამხდელისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: ანგარიშგების მონაცემები, განმარტებითი დოკუმენტები, საინფორმაციო ცირკულარები (მათ შორის ელექტრონული ფორმით); გადასახადის სუბიექტებს უნდა მიეწოდებოდეთ საგადასახადო ორგანოების დასაბუთებული გადაწყვეტილებები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საგადასახადო სარგო სადავოა.

გამჭვირვალობის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტია – თუ როგორ წყდება საგადასახადო ვალდებულება გაურკვეველ ვითარებაში – საგადასახადო ორგანოს დისკრეციული გადაწყვეტილებით (მაგალითად, ინდივიდუალური განსჯით ან არაფორმალური გადაწყვეტით), თუ უნიფიცირებული მიდგომით, საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით. იქ, სადაც ტარდება ადმინისტრაციული დისკრეცია, პოლიტიკის ამგვარი გატარება წარმოშობს ეჭვს. აქ მთავარი საკითხია, იწვევს თუ არა ამგვარი მიდგომა კორუფციულ გარიგებებს. ამგვარი პრობლემა ეს ინვესტორისათვის იწვევს გაურკვეველობასა და ნაკლებ ნდობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნდოვანი საგადასახადო კოდექსი უქმნის პრობლემებს უცხოელ ინვესტორებს; იგივე შედეგის მომტანია საგადასახადო სისტემის ხშირი და სწრაფი რეფორმები, მიუხედავად ამისა, რომ ეს სისტემა შეიძლება იყოს გამჭვირვალე. ცვლილებების გარკვეული ხარისხი დაკავშირებულია ყველა საგადასახადო სისტემასთან, მაგრამ სისტემა ითვლება არაპროგნოზირებადად, თუ განხორციელებული ცვლილებები იყო ფუნდამენტური დაუკავშირებლად საგადასახადო კოდექსის ძირითად დებულებებს საინვესტიციო შემოსავლებთან მიმართებაში.

ამ საკითხების შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის ვექტორებია: საგადასახადო სისტემის რა ელემენტებმა განაპირობა არაპროგნოზირებადობა და როგორ შეიძლება ეს აღმოფხვრიდ იქნას, არის თუ არა საშემოსავლო გადა-

სახადთან დაკავშირებული ყველა მუხლი თავმოყრილი ერთ კოდექსში ან მარეგულირებელ კანონებში? არის თუ არა ერთი ორგანო პასუხისმგებელი გადასახადების ადმინისტრირებაზე, თუ რამოდენიმე? კოორდინაციის რა პრობლემები წარმოიქმნება, აქვს თუ არა მას გავლენა ხარჯებზე? რა რეფორმებია სასურველი?

ამრიგად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი უცხოური ინვესტიციებისათვის საშუალებას იძლევა თეორიულად განისაზღვროს ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკა. მოდელი ძირითადად ეყრდნობა იმ ფაქტორებს, რაც უშუალოდ სამეურნეო პრაქტიკიდანაა აღებული: ბიზნეს გარემო და საგადასახადო ტვირთი. თავის მხრივ, ეს ორი ძირითადი ფაქტორი აერთიანებს ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ ქვემომართულებებს: ბიზნეს ინფრასტრუქტურის პირობები, ბაზრის მასხასიათებლები, მდებარეობასთან დაკავშირებული ფაქტორები, საგადასახადო ტვირთის დაკისრება. უცხოურ ინვესტიციებზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც შეფასდება მოდელის პირველი ძირითადი ფაქტორი – მოცემული ქვეყნის ბიზნეს გარემოს შესაძლებლობები. მოდელი მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ გამოირჩევიან დიდი გასაღების ბაზრებითა და ბუნებრივი რესურსებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მამდალადაძე საგადასახადო შედავათები უცხოური ინვესტიციებისათვის, ჟურ. გადასახადები და აღრიცხვა №3 თებერვალი 2006
2. აცერცვაძე საგადასახადო დაგეგმვის მსოფლიო გამოცდილების ანალიზი, ჟურ. საქართველოს ეკონომიკა, 2009 № 1
3. OECD-Detailed Benchmark Definition of Foreign Direct Investment (Paris OECD 1996) Third edition.
4. IMF- Balance of Payment Manual (Washington IMF 1993) fifth edition.
5. TAX Effects on Foreign Direct Investment” Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34
6. Dyker, D (1999), "Foreign Direct Investment and Technology Transfer in the Former Soviet Union", published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 1999

Kuparadze Giorgi

Master of Social Sciences, Bachelor of Economics

Specialist of International Relations at TSU Paata Gugushvili Institute of Economics

OECD TAX POLICY MODEL FOR FDI

Summary

In the article is reviewed the theoretical model of the relation between tax policy and foreign direct investments. This model is based on OECD Policy Framework model for Investments.

In the last few decades a number of governments have offered fiscal incentives to foreign investors to invest in their area. Besides the traditional factors for making investments abroad substantial significance gained institutional factors. Among these factors are tax issues.

In order to formulate effective tax policy it is essential to assess the impact of tax factors on investor's decision making process. For the optimal tax policy design there are several theoretical models that enable to explore the effects of tax policy on foreign direct investments. Among the most widespread models is the model of OECD- Policy Framework model for Investments.

This model is especially relevant for transition and emerging market economy countries, but some of its aspects can be useful for other types of countries as well. OECD model is primarily based on two main economic policy directions: Market and Framework conditions and Tax burden. Each of this direction has its own sub direction of economic policy. Tax burden should be assessed after the basic assessments of business environment for each country. Based on these perceptions in some cases tax factors may be important factor for decision making and in some cases it may not. OECD-Policy Framework for Investments is useful tool for designing effective tax policy towards foreign direct investments.

ნონა ქეთარაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების სრულყოფის საკითხები
საქართველოში**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბიუჯეტო სისტემაში შემავალი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახსრების მობილიზაციისა და გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას.

2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლითაც („შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის“ II კარის III თავი) მკაფიოდ განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის საბიუჯეტო შემოსულობების განაწილების წესი.

კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სრულად ჩაირიცხება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები. ამასთან საჭურადღებოა, რომ „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ჩაირიცხული შემოსულობები ამ რესპუბლიკების სხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით“.²⁸

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით რეგულირდება იმ საბიუჯეტო შემოსულობების განაწილება, რომლებიც მიღებული იქნა საგადასახადო კანონმდებლობით გაუქმებული გადასახადებიდან, კერძოდ:

1. კანონმდებლობით გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები, რომლებიც სრულად მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, შემდეგია:

- ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
- საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი;

- გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

- ფიქსირებული გადასახადი სიგარისა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე;

- სოციალური გადასახადი.

2. რაც შეეხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათში სრულად მიემართება შემდეგი გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები:

- მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი;
- ქონების გადაცემისათვის გადასახადი;

²⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, კარი II, თავი III, მუხლი 25, ნაწილი მე-3.

- საკურორტო გადასახადი;
- სასტუმროს გადასახადი;
- რეკლამის გადასახადი;
- გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;
- მცირე ბიზნესის და ფიქსირებული გადასახადიდან მიღებული თანხების 80% მიიმართება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 20%- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

წარმოდგენილი საბიუჯეტო შემოსულობების გარდა, სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის შემოსულობების განაწილება წარმოებს შემდეგი პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

ზოგიერთი შემოსულობის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით ²⁹

	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები
	2	3	4	5
	საშემოსავლო გადასახადი:			
1	გარდა ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადისა	100		
2	განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის		100	
	მოგების გადასახადი	100		
	ქონების გადასახადი			100
	დამატებული ღირებულების გადასახადი	100		
	აქციზი	100		
	საბაჟო გადასახადი	100		

წარმოდგენილი ცხრილის გაანალიზების საფუძველზე გვინდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის, ბიუჯეტებს შორის შემოსავლების რეგულირება ხორ-

²⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, თბ., 2009 წლის 18 დეკემბერი, (დანართი „შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“).

ციელდება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის საშუალებით, რომელიც სრულად (100 პროცენტით) ირიცხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში.

2000-2009 წლებში აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ კანონებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის საფუძველზე შევნიშნავთ, რომ თუ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ კანონის პირველი მუხლით, 2001 წლიდან 2004 წლის 1 ივლისამდე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განისაზღვრა 99 %-ით, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში – 85 %-ით³⁰, ხოლო საქართველოს კანონით „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, საშემოსავლო და მოგების გადასახადი 100 %-ით ჩაირიცხა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში³¹, 2008 წლის 1 იანვრიდან „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, კანონის შესაბამისად მოგების გადასახადი 100 %-ით ირიცხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო საშემოსავლო გადასახადი, განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის, 100 %-ით ჩაირიცხებოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში³².

2010 წელს მოქმედი საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, შემოსულობების განაწილების პროცენტული მაჩვენებლები საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ფაქტიურად არ შეცვლილა, ვინაიდან აღნიშნული კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადი, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გარდა, კვლავ 100 %-ით ირიცხება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი საშემოსავლო გადასახადი შესაბამისად 100 %-ით ჩაირიცხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში, კოდექსის თანახმად, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად 100 %-ით ჩაირიცხება ისეთი გადასახადებიდან მობილიზებული შემოსავლები, როგორცაა მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და საბაჟო გადასახადი.

ზემოაღნიშნულ კანონთან დაკავშირებით, ჩვენის მხრივ გვინდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის, ბიუჯეტებს შორის შემოსავლების რეგულირება ხორციელდება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის საშუალებით, რომელიც სრულად (100 პროცენტით) ირიცხება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში, ამასთან აღსანიშნავია, რომ

³⁰ საქართველოს კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“, მუხლი 1-5, თბილისი, 2000 წლის 13 დეკემბერი.

³¹ საქართველოს კანონით „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, თბ., 2004 წლის 29 დეკემბერი, დანართი №1.

³² საქართველოს კანონი „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, თბილისი, 2007 წლის 28 დეკემბერი.

მოცემული გადასახადი ნაკლებად შემოსავლიანია, რის გამოც იგი ფაქტიურად ვერ ასრულებს ეფექტიან როლს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში და არ შესწევს უნარი ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების სრულყოფის საკითხში, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს ადგილობრივ ბიუჯეტებზე რეალური შემოსავლების მქონე გადასახადების მიმაგრება. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მარეგულირებელი გადასახადის შემოღება და საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის მისი განაწილების ნორმატივების სწორად და ეფექტიანად განსაზღვრა.

ბიუჯეტებს შორის ურთიერთობათა სრულყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქვეყნის სატრანსფერო პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ხელისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისათვის ფულადი დახმარებების გადაცემით უზრუნველყოფს საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების გათანაბრებასა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის ამაღლებას. რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულები ცენტრალური ხელისუფლების მიერ მათთვის გამოყოფილ ასიგნებებზე, სუბვენციებსა და ტრანსფერებზე.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრების მიზნით და მათი ექსკლუზიური უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ქვეყნის ხელისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ახორციელებს ფინანსური დახმარების სახით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფას, რომლის გამოყენების მიმართულებების განსაზღვრაც დამოუკიდებლად ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. აღნიშნული ტრანსფერის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მათი ექსკლუზიური უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრების მიღწევა.

გათანაბრებითი ტრანსფერი გაიანგარიშება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით, ქვეყნის საბიუჯეტო კოდექსით შემუშავებული წესისა და ფორმულების გამოყენებით. ფორმულების საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაცემი ტრანსფერების მოცულობის დადგენას ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს მრავალ ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში (2007-2008 წლებში) გათანაბრებითი ტრანსფერის გასაანგარიშებელი ფორმულები საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებით ხასიათდებოდნენ და ისინი უპირატესად თანხების განაწილებაზე იყვნენ მიმართულნი, ვიდრე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრებაზე.

საქართველოში, მიმდინარე 2010 წლისათვის ქვეყნის საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული გათანაბრებითი ტრანსფერის გასაანგარიშებელი ფორმულა რადიკალურად განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის № 904 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან, შემუშავებული იქნა გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამტკიცებული შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$T=E-R^{33}$$

სადაც,

T – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი;

E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი (თვითმმართველი ქალაქებისათვის E გამოსახება როგორც E_{city} , ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის $E - E_m$);

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

თავის მხრივ თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

თვითმმართველი ქალაქებისათვის:

$$E_{city}=S_{city}*G_{city}\%;$$

მუნიციპალიტეტებისათვის:

$$E_m=S_m*G_m\%$$

სადაც,

E_{city} – არის თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

E_m – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

S_{city} – თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი თვითმმართველი ქალაქების კოეფიციენტების საერთო მოცულობაში;

S_m – მუნიციპალიტეტის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების საერთო მოცულობაში;

G ანუ G_{city} -სა და G_m -ის ჯამი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. G_{city} – თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 72 %-ით.

G_m – მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 28 %-ით.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებს R – ს, ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის, მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით და

³³ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, კარი III, თავი XI, მუხლი 73, ნაწილი 1, თბილისი 2009 წელი, 18 დეკემბერი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №904, გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია, მუხლი 1, თბილისი, 2009 წლის 30 დეკემბერი.

მასში გაითვალისწინება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (გრანტების გარდა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული სატრანსფერო პოლიტიკა, მიუხედავად განხორციელებული მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, მაინც ვერ იძლევა ტრანსფერისათვის დაკისრებული ძირითადი მიზნების ეფექტიანად მიღწევის საშუალებას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება და ტრანსფერების გაანგარიშებაში უმთავრესი სამართლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს, რადგან „მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანსფერების სტრუქტურის ცვლილება ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ სისტემაზე, ზემოქმედებს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორც არის მოხმარება. ტრანსფერების მოცულობის გადიდება იწვევს მმართველობის ქვედა დონეზე საგადასახადო შემოსავლების შემცირებას და ზრდის მოხმარებას. როგორც წესი, წმინდა გადასახადების შემცირება უფრო მცირემულტიპლიკატურ ეფექტს იძლევა, ვიდრე მისი ტოლი გეგმიური ინვესტიციები და ხარჯები.“³⁴


გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ სატრანსფერო პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდეს ქვეყნის ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესთან, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისათვის გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის საბიუჯეტო ციკლის გათვალისწინებით.

ყოველი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს და შემუშავდეს ისეთი სატრანსფერო პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ადგილობრივი ბიუჯეტების ქვეყნის ეროვნული დონის პრიორიტეტების გააღწევისაგან ავტონომიურობის პრინციპის შენარჩუნება, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ საკუთარი რეგიონის პრიორიტეტების დამოუკიდებლად შემუშავების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2011 წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისათვის გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება (იხ. გრაფიკი 1).

³⁴ Экономическая теория. Под. ред. А.И. Добрынина, Л. С. Тарасевича. Изд. Питер Ком. Санкт-Петербург, 1999, с. 413.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გაცემული ფინანსური დახმარებების დინამიკა 2000-2011 წლები (მლნ. ლარი)³⁵



მოცემული გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2000-2011 წლებში ადგილი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას. მიმდინარე 2011 წელს ტრანსფერის საერთო მოცულობის გეგმური მაჩვენებელი წლიური საბიუჯეტო კანონის თანახმად 842.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება, რაც 5.6 მლნ ლარით აღემატება გასული 2010 წლის შესაბამის მაჩვენებელს და ფაქტიურად 30-ჯერ აღემატება 2000 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გასაცემი ტრანსფერების მოცულობის შემცირება და ამ ბიუჯეტებისათვის სხვადასხვა სახის გადასახადებისა და შემოსავლების მიმაგრების გზით, მათი ხარჯების შესაბამისი ფულადი რესურსებით უზრუნველყოფა, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტები, რომელთა საშუალებითაც ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას, წარმოადგენენ რეგიონის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და მთელი რიგი სხვა ამოცანების რეალიზაციის ფინანსურ ბაზას.

ამასთან, „სახელმწიფო ხელისუფლება ადგილობრივი (რეგიონული) ფინანსების დახმარებით აღწევს იმ ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრებას, რომლებიც გარკვეული ისტორიული და ბუნებრივი პირობების გამო, ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდნენ ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით.“³⁶ უნდა აღინიშნოს, რომ

³⁵ წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

³⁶ კაკულია რ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ. 445.

დღეისათვის ადგილობრივი ბიუჯეტები საკუთარი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებას, რის გამოც ისინი ფაქტიურად მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობაზე არიან დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაში გადამწყვეტი ადგილი უკავია ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობათა სრულყოფას, რაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებასთან ერთად მოიცავს გადასახადების განაწილებისას სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანობის პრინციპის დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, 2009 წლის 18 დეკემბერი.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, თბ., 2009 წლის 18 დეკემბერი (დანართი „შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“).
3. საქართველოს კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“, თბილისი, 2000 წლის 13 დეკემბერი.
4. საქართველოს კანონი „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, თბ., 2004 წლის 29 დეკემბერი, დანართი №1.
5. საქართველოს კანონი „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, თბილისი, 2007 წლის 28 დეკემბერი.
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №904, გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია, მუხლი 1, თბილისი, 2009 წლის 30 დეკემბერი.
7. Экономическая теория. Под. ред. А.И. Добрынина, Л. С. Тарасевича. Изд. Питер Ком. Санкт-Петербург, 1999, с. 413.
8. კაკულია რ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003.
9. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

Nona Kavtaradze
Doctorant of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

**ISSUES ON PERFECTION OF THE RELATIONS BETWEEN THE BUDGETS IN
GEORGIA**

Summary

In the article is discussed the issues on tax income assessment between the budgets, also the essence of equalize transfer is analyzed and the role of the local budget income formation process and great dependence of the budget on the local transfers dedicated for the local budget from the state budget is underlined.

The formula for calculation of the equalize transfer elaborated on the base of the country budget code and order No. 904 of December 30 year 2009 by the minister of finances of Georgia is submitted.

In compliance with the applicable budget code distribution percentage indexes between the budgets of some incoming state of Georgia, Abkhazia and Adjara autonomous republics republic and local governmental authorities.

In the article is also discussed the dynamic of factually accomplished transfers from the state budget of Georgia in years 2000-2010 and the planned size determined by the law of Georgia of the “state budget of Georgia of year 2011”.

General directions of perfection of the relations between the budgets are underlined.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო

ფინანსური კრიზისი, როგორც ცნობილია, დაიწყო აშშ-დან, მოიცვა ევროპის ქვეყნები და მსოფლიო მთლიანად. მისი მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ფინანსური კაპიტალი ერთი ან რამდენიმე ოლიგარქისა, რომლებიც ქმნიან კლიმატს მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე. სახელმწიფო უფრო ნაკლებ კაპიტალს ფლობს, ისინი ერთად და დოლარის მოჭრაც მათ მიერ შექმნილ კერძო ორგანიზაციაში ხდება: მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური მაგნატი აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკია, რომელიც კერძოა და მორგანების კლანის საკუთრებას წარმოადგენს. ფედერალურ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაბეჭდოს იმდენი ფული, რამდენსაც იგი ჩათვლის საჭიროდ და კრედიტის სახით მისცეს აშშ-ის ხელისუფლებას [1].

XXI საუკუნეში ფინანსური მაგნატების მიერ, ჩვენი აზრით, მოხდა ამჟამად მიმდინარე ფინანსური კრიზისის ხელოვნური გამოწვევა.

აქედან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ დაიწყო ფინანსური კრიზისი ამერიკიდან, მით უმეტეს დღეს, როდესაც დოლარს ფაქტობრივად მსოფლიო ფულის პრეტენზია აქვს [1].

ფინანსურმა კრიზისმა საბანკო სექტორის პარალიზება გამოიწვია. აშშ-მ 700 მილიარდი დოლარი გამოყო ბიუჯეტიდან ბანკების შესყიდვის მიზნით, ხოლო მისი შემდგომი რეაბილიტაციისათვის დამატებით – 800 მილიარდი [1], ე.ი. რეკაპიტალიზაციამ სახელმწიფო სახსრების გამოყენებით ფაქტობრივად გამოიწვია ზოგიერთი ბანკის ნაციონალიზაცია.

იგივე პროცესებია ევროპის ქვეყნების ბანკებშიც. ეკონომიკური ვარდნა ჯერაც არ არის შეჩერებული, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ სახელმწიფოები გააგრძელებენ სახელმწიფო სახსრებით ბანკების შესყიდვას, რაც კლასიკური კაპიტალისტური ქვეყნების მხრიდან საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპების (რომ “ ბაზარი თვითრეგულირებადი მექანიზმია”) უარყოფას ნიშნავს [1].

ამასთანავე რჩება გადაუჭრელი ძირითადი პრობლემა – უმუშევრობის ზრდა. მისი ნეგატიური ეფექტი გადაწონის რეალური შემოსავლების ზრდას, ამ პოლიტიკისა და ნედლეულზე ფასების კლების ხარჯზე, მიუხედავად საკრედიტო განაკვეთებისა და გადასახადების შემცირებისა, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და მერე ისევ გაიზრდება.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში დაწყებულია “უხილავი ხელი” (საბაზრო თვითრეგულირება) და “ხილული ხელი” (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ცნობილია, რომ ეს მოვლენა უშუალოდ არის დაკავშირებული კეინზის თეორიასთან, რომლის მიხედვით კაპიტალიზმმა დაკარგა თვითრეგულირების უნარი. ამიტომ აუცილებელი გახდა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამება.

დღევანდელობამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მათი არანტიპოდური ხასიათი, როგორც ეს საყოველთაოდ იყო აღიარებული და ის, რომ ორივე – ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმაა.

უფრო კონკრეტულად, ერთიც და მეორეც, წარმოადგენს ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ ვარიანტს. ეს ამოცანა კი არსებული მატერიალური და შრომითი რესურსებით საზოგადოების

სიცოცხლისუნარიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მდგრადობის უზრუნველყოფაა.

ამ მხრივ საყურადღებოა ჩინეთი, სადაც კერძო და სახელმწიფო საკუთრება შეთანაწყობილი არიან და სახელმწიფო არეგულირებს რიგ ეკონომიკურ საკითხებს. მიტომაც, აქ კრიზისი არათუ არ იგრძნობა, არამედ ეკონომიკა აღმავლობის გზით მიდის.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩინეთმა ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე ამერიკის სახელმწიფო ობლიგაციებში ორი ტრილიონი დოლარი ჩადო (უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მათ ამერიკას ორი ტრილიონი დოლარი ასესხეს), ასევე მათ ხელშია ორ ტრილიონ ნახევარი დოლარის დეპოზიტი [1], მათ შეუძლიათ ეს დეპოზიტი გადაცვალონ ევროში და ამით მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენონ დოლარს, მაგრამ ამერიკა მაშინ კარს ჩაუკეტავს ჩინურ საქონელს და ჩინეთს შეექმნება პრობლემები.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკა ამ პირობებში დოლარის ინფლაციას მაქსიმალურად შეუწყოფს ხელს მანამ, სანამ ეს ტრილიონები მთლიანად არ იქნება დაფარული (გადახდილი). ამდენად, უახლოეს ხანაში დოლარის კურსის გამაგრებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს მსოფლიოში არა ეკონომიკური, არამედ ფინანსურად მართული კრიზისია, რომელიც გამოწვეულია ხელოვნურად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, შეგახსენებთ თომას ჯეფერსონის სიტყვებს: “თუ ამერიკელი ხალხი ოდესმე დაუთმობს ბანკებს საკუთარი ვალუტის ემისიის უფლებას, მაშინ ჯერ ინფლაციით, შემდეგ კი დეფლაციით ბანკები და კორპორაციები ხალხს გააღატაკებენ. მე გულწრფელად მჯერა, რომ საბანკო ინსტიტუტები უფრო საშიშები არიან თავისუფლებისათვის, ვიდრე რეგულარული არმიები” [1].

სახელმწიფო უძღურია მოაწესრიგოს ფინანსური ან რომელიმე სახელმწიფოებრივი კრიზისი, რომელსაც იწვევენ ფინანსური ოლიგარქები, რადგან სახელმწიფო მმართველობის სადავეებიც მათ ხელშია.

ფინანსური კრიზისის გადასაჭრელად დღეს პოლიტიკური ნება არის საჭირო მსხვილ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ ასეთი ნება ჯერ არსად ჩანს – რუსეთი ღიად ახორციელებს ატომური პროგრამების ექსპორტს – “იკრებს” ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს იარაღის ძალით [1]; ევროპა დუმს და გარკვეულწილად დაინტერესებულია ატომური სახელმწიფოების მომრავლებით, რაც ცვლის ერთპოლუსიან მსოფლიო იდეას მრავალპოლარული, რეგიონალურად წარმოდგენილი მსოფლიო წესრიგის მიღწევით.

ამერიკა იწვევს გაეროს რეფორმების კონცეფციას – “დემოკრატიის ლიგის” სახელწოდებით [1]. ამ ორგანიზაციას გაეროს უშიშროების საბჭოსთან შეუთანხმებლად შეეძლება მთელ მსოფლიოში სამხედრო ოპერაციების ჩატარება. – ახალი საერთაშორისო წესრიგის ალტერნატივა ქაოსია, რაც მიღწეულია და იმკის თავის ნაყოფსაც.

ევროპაში შეიცვალა საზღვრები, გაჩნდნენ დეფაქტო სახელმწიფოები; მსოფლიო მხარს უჭერს ერთა თვითგამორკვევას, რიგ შემთხვევაში ხდება სეპარატისტების წახალისება (ერაყი, ავღანეთი, დნესტრისპირეთი, კავკასია). იცვლება მსოფლიო ძალთა ბალანსი და როგორც ჩანს, მომავალში დღის წესრიგში დადგება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, რის შემდეგაც მსოფლიო კიდევ ერთხელ ახლებურად მოეწეობა, რომელიც ახალი რეალობების ლეგიტიმაციას მოახდენს.

ამ ფონზე როგორ გამოიყურება საქართველო?

80-იან წლებში დაწეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, პარტიულ ეშელონებში არნახულმა კორუფციამ, პარტიული და სამეურნეო მუშაკების მხრიდან სახელმწიფო ქონების ძარცვამ, არასწორმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ, იდეოლოგიურმა მარცხმა, დააცარიელა სახელმწიფო ხაზინა და სსრკ დაიშალა [6].

რესპუბლიკის ხელისუფლებაში თავი მოიყარეს სახელმწიფოებრივი მართვის უცოდინარმა პირებმა, რომელთაც ეკონომიკური მართვის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ, ქვეყანაში მივინვარებდა ეკონომიკური კრიზისი, საჭირო იყო ეკონომიკური პოლიტიკის სასწრაფო შეცვლა, ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება, ეკონომიკის გონივრული მართვა.

1992 წლიდან ეკონომიკური კრიზისი არათუ შეჩერდა, არამედ ზედ დაერთო პოლიტიკური კრიზისიც, რასაც ქვეყნის უმოწყალოდ ძარცვა მოყვა როგორც ფინანსურად, ისე მატერიალურად, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მხრიდან [6].

შემოდებული ფულადი ერთეული ლარის სახით, წინასწარ იყო განწირული მსოფლიო ბაზარზე რაიმე ღირსეული ადგილის დასაკავებლად, რადგანაც ლარი როგორც ფულადი ერთეული ორიენტირებული იყო არა წარმოებულ პროდუქციაზე, არამედ დოლარზე. ამიტომაც დღემდე ლარი არის დოლარის დონორი, მით უმეტეს დღეს, როდესაც დოლარი განიცდის ინფლაციას და ფინანსური კრიზისია აშშ-ში.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მმართველმა ძალამ არა მარტო ვერ შეძლო კრიზისის შეჩერება, არამედ ქართული სახელმწიფო დაშლის წინაშე დააყენა [6].

რესპუბლიკას დეფაქტოდ ჩამოშორდა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. კრიზისი გრძელდება.

რა უნდა გაკეთებულიყო კრიზისის შესაჩერებლად, რაც სსრკ-ის დაშლის შემდეგ დასავლეთმა და მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გათვალა?

1. ეკონომიკის მართვის ძირითადი ბერკეტები სახელმწიფოს უნდა აეღო ხელში.

2. ის ეკონომიკური კავშირები, რომლებიც იყო ჩამოყალიბებული წლების განმავლობაში რესპუბლიკებს შორის, არ უნდა დარღვეულიყო.

3. ეკონომიკის გაჯანსაღებამდე არ უნდა გამოსულიყვნენ ერთიანი სამანეთო ზონიდან.

4. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო საიმისოდ, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოს აეღო პასუხისმგებლობა იმ საკუთრებასა და ვალეებზე, რომლებიც მიეკუთვნებოდა საქართველოს.

5. ქვეყანაში უნდა დამყარებულიყო მკაცრი დისციპლინა სახელმწიფო ქონების დასაცავად.

6. უნდა მომხდარიყო საერთო სახელმწიფოებრივი ქონების აღწერა.

7. უნდა გამოცხადებულიყო გარდამავალი პერიოდი, რადგანაც მსოფლიო პრაქტიკაში არ გვქონდა ანალოგი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობიდან კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობაზე გადასვლის.

8. გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის რეგულირება უნდა მოეხდინა სახელმწიფოს. მას ასევე უნდა შეესრულებინა საბაზრო ურთიერთობათა სისტემის შემქმნელი ფაქტორის როლიც.

9. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით შექმნილი, უარყოფითი მხარეებისაგან იქნებოდა გარკვეულწილად დაზღვეული.

ასეთი მიდგომა უნდა დასდებოდა საფუძვლად ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის სახელმწიფო პოლიტიკას.

ფაქტი სახეზეა – დღევანდელ ეროვნულ კაპიტალს გამდიდრებული უმცირესობა ფლობს, რომელის წარმოიშვა არა წარმოების პროცესში, არამედ სახელმწიფო ქონების ნომენკლატურული პრივატიზაციით. ამიტომაც, რომ იგი წარმოების პროცესში რეალურად არ მონაწილეობს. ფაბრიკა-ქარხნები და სხვა საწარმოო ობიექტები შეისყიდეს ყოფილმა დირექტორებმა, რაიკომის აღმასკომის მდივნებმა, ინსტრუქტორებმა, აღმასკომების ხელმძღვანელებმა და ა.შ.

ამასთან, ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაძარცვული ძირითადი საწარმოო აქტივები უმოქმედოა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო როგორც მესაკუთრე, თავისი პასიურობით ეკონომიკის გაჩანაგებას უწყობს ხელს, ვიდრე სტაბილიზაციას. ეს დაადასტურა პრივატიზაციის ეკონომიკურმა შედეგებმაც. ხოლო კაპიტალის წარმოშობის ძირითადი წყარო ისევ კორუფციაა. მაგალითისათვის ავიღოთ კახეთი. აქ – ერთი კილოგრამი ყურძენი (რქაწითელი) 0.35 თეთრი ღირს. ერთი ხინკალი 0.70 თეთრი. ეს გვეუბნება, რომ გლეხებს ექსპლოატაციას უწევს ეგრეთწოდებული “ბიზნესი”, რომელიც ქართულ ბაზარზე ყურძნის შესყიდვისათვის სხვას არ უშვებს.

საზოგადოების წევრთა ინტერესების რეალიზაცია ხასიათდება ღრმა ქონებრივი დიფერენციაციით, რამაც წარმოშვა დაპირისპირება ქვეყნის გაჩანაგების ფონზე მოსახლეობის გამდიდრებულ უმცირესობასა და გაღატაკებულ უმრავლესობას შორის. ეს პოლიტიკური პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებით. თუ არ იქნება ეფექტიანი ეკონომიკა, სოციალური პრობლემები არა თუ არ გადაწყდება, არამედ ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც ვერ შეინარჩუნებს.

დღეს ფინანსური კრიზისის ფონზე ამერიკა დოლარის კურსს ხელოვნურად სცემს. ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დოლარზე ვართ ორიენტირებული. ამერიკა გვეხმარება ფინანსურად. ჩვენთან ფინანსური კრიზისი მწვავედ არ იგრძნობოდა, მაგრამ საბანკო სფეროში ეს უკვე მკვეთრად შესამჩნევი გახდა [7].

საქართველოში ბანკებმა, ამერიკისა და ევროპის ბანკებისაგან განსხვავებით საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად გაზარდეს, რასაც სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევს და არ აკონტროლებს. ამას მოკლე ხანში შემოტანილ პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვება, თუ ეს თავგასულობა დროზე არ აღიკვეთა.

ასევე მხედველობაშია მისაღები:

საქართველოში არსებული უმეტესი ბანკების სათავო ოფისები ევროპაშია. მაშ რატომ არ ვრცელდება ჩვენთან პროცენტებზე დაკლება, როგორც ევროპაშია?

ამრიგად, დღეს, როდესაც მსოფლიოში მძვინვარებს ფინანსური კრიზისი, საქართველომ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- 1) უნდა მოახდინოს არსებული რესურსების მობილიზება.
- 2) უნდა გასცეს საწარმოების ასამუშავებლად სახელმწიფო კრედიტი, რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- 3) გაამაგროს ეკონომიკური საზღვრები საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.
- 4) ეროვნული ვალუტა უზრუნველყოს წარმოებული პროდუქციით.
- 5) ღარი უნდა იყოს შეფასებისა და გადახდის ერთადერთი ფულადი ერთეული.

- 6) ყველაფერი უნდა ვიდნოთ დოლარის ორბიტიდან გამოსასვლელად.
- 7) ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვროს ეროვნულმა ბანკმა.
- 8) დარგის მინისტრი უნდა იყოს მხოლოდ პროფესიონალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი – www.bea.gov

2. Кураташвили Алфред. Глубинные причины глобальных кризисов и пути их предотвращения. Еженедельник «Русская Америка», 2011, №437 (Нью-Йорк, США).

3. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2003.

4. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

5. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

6. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.

7. სილაგაძე ა., თოქმაზიშვილი მ. საბანკო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე“, 2008.

Nino Tagoshvili

Doctorant of jacob Gogebashvili

Unoversity of Telavi

WORLD FINANCIAL CRISIS AND GEORGIA

Summary

Crisis in economic is always followed by escalation of social tension. Way out from the similar crisis is reached with social dialogue and strengthening of solidarity in society by developed societies.

System built on market fundamentalism dogmas has failed. Global market economic crisis requires adequate reaction from the society; nowadays it is time for the society to learn how to use support and justice notions as the main action principles in their every day life. For this purpose it is necessary to spread social – labor rights defender movement for renewing Georgia qualitatively and not to inundate because of the crisis; it should become the country of national and social dignity.

მნიშვნელოვანი ღონისძიება

2011 წლის 21-22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში".

კონფერენცია გახსნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ**.

კონფერენციას მიესალმა თსუ მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **გიორგი ღვედაშვილი**.

კონფერენციას ესწრებოდა თსუ მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე **თეა წითლანაძე** და სხვა უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალმა მეცნიერმა.

საზღვარგარეთიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, კონფერენციას მიესალმნენ და სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდნენ: **რუსლან გრინბერგი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ., **დიმიტრი სოროკინი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ.; **სლაგომირ პარტიცი** - ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი); **ლარისა ბელინსკაია** - ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა); **გინდრა კასნაუსკიენე** - ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა); **გიორგი სიგუა** უკრაინის საკრედიტო-საბანკო კავშირის მრჩეველი.

კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან და სხვა.

პლენარულ სხდომაზე სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდნენ ასევე: **გიორგი ბერულავა** - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ.; **ალფრედ კურატაშვილი** - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ.; **ნოდარ ხადური** - თსუ სრული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი; **ვახტანგ ბურდული** - ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი.

კონფერენციის მუშაობა წარმართა ასევე შემდეგ სამეცნიერო სექციებში: ეკონომიკური თეორიის (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. **ა. კურატაშვილი** და ემდ, პროფ. **მ. კვარაცხელია**); მაკროეკონომიკის (ხელმძღვანელები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **ნ. არევაძე** და ეკონომიკის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი **ნ. ხადური**); ფინანსების, საერთაშორისო ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემკ, თსუ ასოცირებული პროფესორი **ი. ნათელაური** და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **თ. ლაზარაშვილი**); ბიზნესის პრობლემების (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. **გ. ბერულავა** და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **ე. კაკულია**) და სექტორული ეკონომიკის (ხელმძღვანელები: პროფ. **თ. ჩხეიძე** და ემდ, პროფ. **ვახტანგ ბურდული**).

კონფერენციის მუშაობის შეჯამებისას, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ გამოითქვა აზრი, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე, მასზე წარმოჩენილ იქნა არაერთი მეცნიერული სიახლე, წინადადება და რეკომენდაცია.

კონფერენციის დღეებში ასევე გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

ინფორმაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატიპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
შელავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com

ჟურნალ "ეკონომისტში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატიანობის ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMIST”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor of Publishing House **Sesili Khandjaladze**